საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 7 ნოემბერი, 2012 წელი.

№214 (7090)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეულებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

უგულავა უკუსვლა ჯერ ვერ იკისრა,

თუმცა, სადაც სამართალია, თბილისის მერიამ დაკისრებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს!

2

გიგი უგულავა და მისი გარემოცვის წევრები, შესაძლოა, მალე დაიჭირონო?!

ბიძინა ივანიშვილი აღსრულების ბიუროსგან დაბრუნებულ 80 მილიონს დროებით არ გამოიყენებს

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის კვლავ პრიორიტეტულია კახეთის რეგიონისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სრულფასოვნად ანაზღაურების საკითხი და, როგორც არაერთხელ განაცხადა, მზად არის, დაეხმაროს კახელ გლეხებს. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, აღსრულების ბიურო, როგორც ჩანს, შეეცადა ხელი აეღო დანაშაულებრივ ქმედებაზე და ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე, საკუთარი ნებით, ჯარიმის სახით აღსრულებული 80 მილიონი ლარი ბიძინა ივანიშვილს უკან დაუბრუნა, მიზეზად კი სააღსრულებო საქმის წარმოების პროცესში დაშვებული პროცედურული დარღვევები დაასახელა.

იხ. 2 გვ.

3 თვითონ სესხებით იბაირამეს და ჩვენ გავისტუმროთ?

საკაშვილი ტელევიზიებზე კონტროლს კარგავს

8

გაჩო ახალაია

საქართველოში დაბრუნება, შესაძლოა, ძველი ხელისუფლების თამაში იყოს

3

ვისია „დინამო“, „დილა“, „ტორპედო?“

10

პარლამენტი დედაქალაქში დაბრუნების მოლოდინშია

4



ქმოჩე ქუთაში...

7

იდუმალი იაპონელები მიწისძვრის შემდეგ

6

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბიძინა ივანიშვილი აღსრულების ბიუროსგან დაბრუნებულ 80 მილიონს დროებით არ გამოიყენებს

(პირველი გვერდიდან)

გვინდა განვაცხადოთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება 80 მილიონ ლართან დაკავშირებით ამ დრომდე ძალაში რჩება და კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ თავის დროზე, სააღსრულებო ბიურომ სრულიად უკანონოდ მოახდინა „ქართუ ჯგუფის„ წილების მიმართ იძულებითი აღსრულების განხორციელება.

აღნიშნული ქმედებით ცალსახად ჩანს, რომ როგორც დაჯარიმების პროცესი, ასევე მისი აღსრულება და შემდგომ ფულის უკან დაბრუნება კანონთან შეუსაბამოა და საჭიროებს საქმის მოკვლევას. ამდენად, ამ თანხის რაიმე სახით გამოყენება, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენამდე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

მთავრობის ახალმა შემადგენლობამ კახეთის რეგიონისთვის სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის საჭირო ფულადი სახსრების მოძიება პრეზიდენტისა და პრემიერის სარეზერვო ფონდებში სცადა, თუმცა, აღნიშნულ ფონდებში თანხები სრულად გახარჯულიაღმოჩნდა. შესაბამისი ხარჯები გათვალისწინებული იყო ბიუჯეტში, თუმცა, გაირკვა, რომ ძველმა მთავრობამ მისი დიდი ნაწილი არამიზნობრივად გახარჯა და დაზარალებულ მოსახლეობამდე კომპენსაციაა არ მივიდა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუ„ უკვე დაიწყო კახეთის რეგიონისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლა და უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს დაზარალებულებისთვის სამართლიანი და სრულყოფილი კომპენსაციების გაცემას“, - ნათქვამია განცხადებაში.

◎ რა ხდება?

გიგი უგულავა ჩიხიდან გამოსასვლელ გზებს ეძებს. თბილისის მერიას წლის ბოლომდე სოციალური დახმარების პროგრამებისთვის საჭირო 20 მილიონი ლარი შემოეხარჯა და ახლა აქეთ-იქეთ აწყდება. საქართველოს მთავრობის პოზიცია უკვე კატეგორიულია — მერიამ შეასრულოს ვალდებულება, რომელიც აქვს აღებული საკუთარი მოქალაქეების წინაშე!

უახლოეს დღეებში თბილისის მერი გიგი უგულავა საქართველოს მთავრობას მიმართავს და განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობის პროექტს, რომლითაც წლის ბოლომდე სახელმწიფო სოციალური პროგრამები აღდგება.

უგულავამ უკუსვლა ჯერ ვერ იკისრა,

თუმცა, სადაც სამართალია, თბილისის მერიამ დაკისრებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს!

დედაქალაქის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის ირაკლი აბესაძის თქმით, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად მერიის მთავარ მიზნად რჩება, გაგრძელდეს იმ სოციალური დახმარებების გაცემა, რომელიც მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეჩერდა.

აბესაძის ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხზე თბილისის მერიასა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად რამდენიმე განხილვა შედგა. ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ამ პროცესის დაჩქარების მიზნით კი, რათა სოციალური დახმარებების გაცემა უწყვეტად გაგრძელდეს, თბილისის მერია გეგმავს საქართველოს მთავრობას მიმართოს და განსახილველად წარუდგინოს პროექტი, რომლითაც 2012 წელს სახელმწიფო პროგრამები აღდგება.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით, სამი პროგრამა — უფასო სამედიცინო დაზღვევა, სოციალურად დაუცველებისთვის სოციალური დახმარებები და ტრანსპორტზე შეღავათები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსებულიყო. შესაბამისად, თბილისის მერის წინადადება ამ სახელმწიფო პროგრამების აღდგენის შესახებ იქნება. უზრუნველყოფს თუ არა პროგრამების დაფინანსებას მერია, ჯერჯერობით უცნობია და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

როგორც ირაკლი აბესაძემ განაცხადა, სამივე პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი წლის ბოლომდე დაახლოებით 20 მლნ ლარს შეადგენდა და ეს თანხა თბილისის მერიამ დედაქალაქის სხვა პროგრამებზე უკვე გადაანაწილა.

ცნობისთვის, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის 2012 წლის 19 ოქტომბრის განკარგულებით, აღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე ფინანსური ვალდებულება თბილისის მერიისგან ჯანდაცვის სამინისტროს გადაეცა. ამავე წლის 31 ოქტომბერს კი საქართველოს ახალმა მთავრობამ 19 ოქტომბრის დადგენილება გააუქმა.

გიგი უგულავას და ვანო მერაბიშვილის თვითნებური გადაწყვეტილების შესახებ ორი სამინისტრო ერთობლივ განცხადებას ავრცელებს: ტრანსპორტის, სოციალური და სამედიცინო დაზღვევის შეჩერებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას, უშუალოდ კი ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვანო მერაბიშვილს და დედაქალაქის მერიას ეკისრება.

„19 ოქტომბერს ყოფილმა პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა, ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც თბილისის ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამებისათვის გასაწევი ხარჯები, საბიუჯეტო კანონმდებლობის სრული დარღვევით, პარლამენტთან შეთანხმების გარეშე, სახელმწიფო ბიუჯეტს გადასცა, რითაც 2012 წელს 25 მილიონი, ხოლო მომავალ წელს 78 მილიონი ლარი, დამატებითი ვალდებულება დააკისრა. 20 ოქტომბერს ქალაქ თბილისის საკრებულომ დაჩქარებული წესით დედაქალაქის ბიუჯეტიდან ამოიღო აღნიშნული პროგრამებისთვის გათვალისწინებული ხარჯები.

თბილისის მერიამ სადაზღვევო კომპანიებს ოფიციალური წერილით მიმართა სადაზღვევო ხელშეკრულებების ნაადრევად შეწყვეტის თაობაზე და მიზეზად თანხების უქონლობა დაასახელა. ეს იმ პირობებში, როდესაც დედაქალაქის ბიუჯეტისთვის წლის განმავლობაში, ტრანსფერის სახით გამოყოფილი 450 მილიონი ლარიდან დედაქალაქს ცხრა თვის მანძილზე ათვისებული ჰქონდა 75%.

აქედან, ჯანდაცვის პროგრამებზე გათვალისწინებული იყო 30 მილიონი ლარი, 9 თვის განმავლობაში მერიას დახარჯული ჰქონდა 17 მილიონი ლარი, შესაბამისად, დარჩენილი იყო 13 მილიონი ლარი. სოციალური პროგრამებისთვის განკუთვნილი 52 მილიონი ლარიდან, დახარჯული იყო 30 მილიონი ლარი, დარჩენილი — 22 მილიონი. ასევე, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებისათვის გამოყოფილი 35 მილიონიდან ათვისებული იყო 20 მილიონი ლარი და დარჩენილი რეზერვი შეადგენდა 15 მილიონ ლარს“, — ნათქვამია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან 19 დღის შემდეგ მაშინ, როცა მიმდინარეობდა ხელისუფლების გადაბარების პროცესი.

„ეს საკითხები გადაბარების პროცესის მიმდინარეობისას, არც ერთ შეხვედრაზე, მათ შორის, არც ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრებზე არ დასმულა. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვერ გაიცემა აღნიშნული თანხა, რადგან კანონში 2012 წლის ბიუჯეტის შესახებ ასეთი მუხლები გათვალისწინებული არ არის. ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამ ვალდებულების ასაღებად არა აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ჩვენი პოზიცია უცვლელია, რომ აღდგეს თბილისის ბიუჯეტი ძველი პარამეტრებით და დაუბრუნდეს 18 ოქტომბრისთვის არსებულ სტატუსკვოს, თბილისის მერიამ შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც აქვს აღებული საკუთარი მოქალაქეების წინაშე“, — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

ეკა ბაქრაძე

◎ ვითარება

რაც დათესეს, იმას მოიმკიან?!

გიგი უგულავა და მისი გარემოცვის წევრები, შესაძლოა, მალე დაიჭირონო?!

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, გიგი უგულავა და თბილისის მერიის მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნები შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ.

წყარო აცხადებს, რომ მთავარი პროკურორის ოფისი ამ კვირიდან იწყებს თბილისის მერიის სამსახურების უფროსების, თბილისის გამგებლებისა და თბილისის მუნიუციპალიტეტს დაქვემდებარებული სახელმწიფო საწარმოების ფინანსური საქმინობის შესწავლას. მათ შორის, კონტროლის პალატის მიერ თბილისის მერიის იმ პერიოდის შემოწმების შედეგებს, რაც ამ პოსტზე გიგი უგულავა მუშაობს (2005-2012 წ.წ).

„პროკურატურამ უკვე მოიპოვა იმგვარი მასალები, რომლებზეც სისხლის სამართლის საქმეს სტაჟიორ-გამომძიებელიც კი აღძრავს, იმდენად ნათელია დანაშაულის ფაქტები. თუ მთავარმა პროკურატურამ ობიექტურად გამოიძია საქმე, დაჭერას ვერ გადაურჩებიან გიგი უგულავა, მერიის ყველა სამსახურის უფროსი, თბილისის რაიონების გამგებლები და მათი მოადგილეები. ასევე მერიის ყოფილი მაღალჩინოსნები. შემიძლია დავასახელო რამდენიმე ადამიანი, რომელთა გვარებიც უკვე ამოტივტივდა. საქმე ეხება ბიუჯეტიდან მითვისებულ ასეულ მილიონობით ლარს, არ ვაჭარბებ, შესაძლოა, ძიების პროცესში მილიარდებზე იყოს ლაპარაკი. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ უზარმაზარი ფული არა მარტო ბიუჯეტიდან მიდიოდა უგულავასა და მისი გარემოცვის ჯიბეში, არამედ ეს ადამიანები მონაწილეობდნენ სახელმწიფო ქონების, მიწის ნაკვეთების, შენობა-ნაგებობების უკნონო პრივატიზაციაში, საკუთარი ახლობლების კომპანიებისთვის სახელმწიფო თანხების გადარიცხვაში, კორუფციული სქემით სადაზღვევო კომპანიებთან ერთად მილიონობით ლარის „მოტეხვაში“ და სხვა მრავალ უკანონობაში. ვიმეორებ, თუ გამოძიება ობიექტურად წარიმართა, სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრება არა მხოლოდ გიგი უგულავასა და მისი გარემოცვის, არამედ ათობით კერძო კომპანიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგაც. მე იურისტი ვარ და ამ მასალების მხოლოდ მცირე ნაწილს გავეცანი, რომელთაც ჩემთან ალტერნატიული წყაროდან მოაღწიეს. დაუჯერებელია, მაგრამ რეალობა ასეთია: არ გაგიკვირდეთ, თუ მალე არა რამდენიმე ათეული, არამედ რამდენიმე ასეული ყოფილი და ამჟამინდელი ბიზნესმენი დაიჭირონ. ამას სრულიად გადაუჭარბებლად ვამბობ“, — **განუცხადა წყაროს „ივერიონს“.**

წყაროს ინფორმაციით, მხოლოდ უმნიშვნელო პროცედურული საკითხია საჭირო მთავარი პროკურატურისთვის რომ ქვემოთ ჩამოთვლილი პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრას. ესენი არიან: **გიგი უგულავა, მამუკა ახვლედიანი, ზურაბ არსოშვილი, გიორგი მელაძე, გიორგი ცხაკაია, დავით ნინიძე, დავით ალავიძე, თემურ გიორგაძე, აკაკი ჯოხაძე, ზვიად არჩუაძე, ლაშა მაქაცარია, ირაკლი აბესაძე, მალხაზ მუჯირიშვილი, ზაზა დოლიძე, კობა სუბელიანი, ლევან კოპლატაძე, გიორგი ხუჭუა, პაატა გობეჯიშვილი, დავით ბურდული, გიორგი ჩაჩანიძე, დავით იოსელიანი, რამაზ სულამანიძე, ნიკოლოზ ხაჩირიშვილი, ლაშა ფურცხვანიძე.**

iveroni.com.ge

◎ ძირითადი ბირთვი

მინისტრის რჩეულნი

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა წერტილი დაუსვა საზოგადოების მოლოდინს და სპეციალურად მოწვეულ ბრიფინგზე მედიას მოადგილეები წარუდგინა.

პირდაპირ უნდა ითქვას — მართლაც რომ პროფესიონალთა გუნდია, რომელიც, ვიმედოვნებთ, „პენსიაზე გასვლის“ შემდეგ კეთილ მონგონარს, უპირველესად, უხვად ჩაფიქრებულ პროექტთა განხორციელებით დაგვიტოვებს.

მაშ ასე, გაეცანით მინისტრის მოადგილეთა კვარტეტს.

ზურაბ აზმაიფარაშვილი (პირველი მოადგილე) — საერთაშორისო დიდოსტატი, ევროპის 2003 წლის ჩემპიონი. იყო საქართველოს ოლიმპიური ნაკრების უცვლელი ლიდერი. ფიდეს ვიცეპრეზიდენტი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი და თანაპრეზიდენტი. გახლდათ გარი კასპაროვის სეკუნდანტი მსოფლიო პირველობის სამ მატჩზე — 1987-1993 წლებში. ამჟამად სინგაპურში ფიდეს საჭადრაკო აკადემიის სამწვრთნელო პროგრამების დირექტორია. მისი გამოცდილება ქართულ სპორტს და ქართველ ახალგაზრდებს უნდა გამოადგეს.

თამაზ თევზაძე — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ხელბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მოღვაწეობდა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სპორტის დირექტორის, აგრეთვე ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, პრეზიდენტის თანამდებობებზე. არის ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატი. წლების განმავლობაში საერთაშორისო ექსპერტია საქართველოდან. ამჟამად ევროპის საბჭოში ორი კონვენციის მონიტორინგის ჯგუფის და სხვა საერთაშორისო სპორტული კომისიების წევრია, ბავშვთა და ზოგადად საქართველოში სპორტის განვითარების კონცეფციების ავტორია.

რატი ბრეგაძე — პროფესიით იურისტი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გახლავთ ჰამბურგის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი. 2008 წლიდან არის ბერლინის ქართული საზოგადოების წევრი, უამრავი პუბლიკაციისა და ნაშრომის ავტორი. აქვს მდიდარი სამეცნიერო გამოცდილება, რაც დაეხმარება როგორც ქართულ სპორტს, ასევე ახალგაზრდობას.

გია რაფავა — მორაგბე, ინგლისის მოქალაქე. მისგან პრინციპული თანხმობა უკვე მიღებულია. ფეხზე აქვს ოპერაცია გასაკეთებელი და თვის ბოლოს ჩამოვა.

გია პლატონიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

SIC!

2013 წლისთვის საქართველოს ახალი ხარჯები ექნება გასაწევი, რადგან რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს, როგორც საგარეო სესხის მომსახურების თანხა. ამიტომ მომავალი წლიდან დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარის მობილიზაციაა საჭირო.

მარტო 2012 წელს ვალი ერთი მილიარდით გაიზარდა. For.ge-ს ესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია.

თვითონ სესხებით იბაირამეს და ჩვენ გავისტუმროთ?

— მომავალი წლიდან საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია იწყება. უწინარესად, რომელი ქვეყნის ვალი უნდა გავისტუმროთ?

— 2013 წლიდან რესტრუქტურიზებული ვალების გასტუმრება მოგვიწევს. ჰიუსტონის სქემით მოხდა ჩვენი ვალების რესტრუქტურიზება. ეს სქემა გულისხმობდა შეღავათიან პერიოდს, რომელიც გავიარეთ და 2013 წლიდან უკვე გრაფიკით იწყება ვალების გადახდა. ეს ერთდროულად ეხება ორმხრივ და მრავალმხრივ ვალებს. მაშინ მოხდა მთლიანი დავალიანების რესტრუქტურიზაცია, რაც საქართველოს ჰიუსტონის სქემით ჰქონდა.

— რამდენი გვქონდა საგარეო ვალი და რისთვის ავიღეთ?

— საერთოდ, ვალების 80 % მრავალმხრივი გვაქვს, 20 % კი ორმხრივი ვალებია. ორმხრივი ვალების უმრავლესობა წარმოშობილია საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად — გვქონდა ვალი რუსეთთან, სომხეთთან და სხვა რესპუბლიკებთან. ეს იყო ბალანსების ურთიერთჩათვლის დროს. შემდგომ ამას დაემატა თურქეთის ვალი (50 მილიონი), იაპონიის, ჩინეთის ვალი და სხვა. მერე უკვე გადავედით მრავალმხრივ ვალებზე და ამ ვალებს ძირითადად მსოფლიო ბანკიდან ვიზიდავდით. ჩვენთვის მსესხებელი უფრო მეტად მსოფლიო ბანკია, ასევე, ევროპული განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი — იბიარდი და საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია.

— რა თანხებზეა საუბარი?

— 2 მილიარდ 200 მილიონი იყო მაშინ რესტრუქტურიზაციის თანხა და ამ თანხის მთლიანი რესტრუქტურიზაცია მოხდა ჰიუსტონის სქემით და მოგვცეს შეღავათიანი პერიოდი.

— 2013 წლიდან დაწყებული, ვალები რამდენ ხანში უნდა გავისტუმროთ?

— 2013 წლიდან იწყება ვალის მომსახურება, რაც გრძელდება 10 -15 წლის განმავლობაში.

— იმ შემთხვევაში, თუ ვალები ვერ გავისტუმრეთ, რა მოხდება?

— აუცილებლად უნდა გავისტუმროთ. ამ შემთხვევაში, სიტყვა „ვერ“ არ არსებობს. ეს ვალები ერთხელ უკვე რესტრუქტურიზებულია და აუცილებლად უნდა გავისტუმროთ.

— თუ მაინც წარმოვიდგენთ უარეს სქემას, ვალების გადაუხდელობის შემთხვევაში, რა მოხდება? დამატებითი თანხები გვექნება გასასტუმრებელი?

— დამატებითის გარდა, აუცილებლად უნდა მოველაპარაკოთ ჩვენი მევალეების კლუბს. არ შეიძლება, ვალი არ გადავიხადოთ, ერთხელ უკვე გვაპატიეს, შეღავათიანი პერიოდი გავიარეთ და უნდა გავისტუმროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დადებითი რეიტინგი შეგვეცვლება და ქვეყნის საინვესტიციო კლიმატისთვის კარგი არ იქნება.

— როგორ უნდა გავისტუმროთ ეს თანხა და პირველ ეტაპზე რამდენი უნდა გადავიხადოთ?

— საბიუჯეტო შემოსავლებით უნდა გავისტუმროთ. პირველ რიგში - საგადასახადო შემოსავლებით, რაც, იმედი მაქვს, სადღაც 6 მილიარდ ნახევარი იქნება 2013 წლისთვის და ჩვენ შევძლებთ ამის გასტუმრებას.

— ეს არ იქნება მძიმე ტვირთი ჩვენი ბიუჯეტისთვის?

— არა მგონია, მძიმე ტვირთი იყოს.

— პირველ ეტაპზე რა თანხა უნდა გავისტუმროთ?

— კვარტალურად მოხდება გაწერა და პირველ ეტაპზე გასასტუმრებელი თანხების ოდენობა ხაზინაში უნდა მოინახოს.

— თუ გაქვთ წარმოდგენა, რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა ის თანხები, რომლებიც თავის დროზე ვალად აიღო ჩვენმა ხელისუფლებამ?

2013 წლიდან საქართველოს საგარეო ვალების გასტუმრება მოუწევს

— თანხების ნაწილი საბჭოთა კავშირის დროინდელია. შემდეგ უკვე საკმაოდ არის საწვავის, ენერგეტიკის ვალი. ბევრ შემთხვევაში, ეს ვალები უმიზნოდ იყო, ზოგ შემთხვევაში კი, ვალები მიმდინარე ხარჯებს მოხმარდა - პენსიების დარიგებას, საწვავის პრობლემებს. ძირითადში, ალბათ, არაეფექტურად იყო გამოყენებული.

— გამოდის, ეს ვალები ახალი ხელისუფლებისა და მოსახლეობისთვის მაინც ტვირთი იქნება.

— დიახ, ახალი ხელისუფლებისთვისაც ტვირთია და საქართველოს მოსახლეობისთვისაც.

— ამ გადასახედიდან შეგიძლიათ გვითხრათ, შესაძლებელი იყო თუ არა, აღნიშნული ვალები არ აგვეღო?

— რა გითხრათ, იცით, რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დაშლის დროინდელ ვალებს, რაც დაძალებითი და თავსმოხვეული იყო, მაშინ შიმშილით კვდებოდა საქართველო და ან უნდა გვეღიარებინა, ან არ გვაძლევდნენ პროდუქტებს. რაც შეეხება შემდგომ ვალებს, მაშინაც ისეთი სიტუაცია იყო, რომ ქვეყანა ფეხზე დგებოდა და ჯერ არ იყო შემდგარი ქვეყანა. ამიტომ ნებისმიერი მოზიდული თანხა რაღაცას ნიშნავდა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, არ აგვეღო ვალები ან ნაკლები ვალი აგვეღო, შესაბამისად, ნაკლები ვალი გვექნებოდა გასასტუმრებელი.

— რაც შეეხება ვარდების რევოლუციის შემდეგ აღებულ ვალებს, რა თანხებზეა საუბარი და რამდენად მიზნობრივი იყო ეს ვალები?

— ერთი იმდენით გაიზარდა შემდგომ და დღეს ოთხ მილიარდამდეა ვალი. ეს არის ევროპისგან მიღებული დახმარება. შარშან, მაგალითად, მარტო 2012 წელს ერთი მილიარდით გაიზარდა საგარეო ვალი, 2011 წელს სამი მილიარდი იყო და ოთხ მილიარდამდე გაიზარდა.

— რისთვის, რა მიზნით აიღეს ეს ვალი?

— არ ვიცი, 2012 წლის ბიუჯეტის ანგარიშს რომ გავეცნობით, მაშინ გავიგებთ, თუ რას მოხმარდა ეს თანხა. ისე კი, 25 % წავიდა რეგიონული განვითარების პროგრამებზე.

— ალბათ, გზებისთვისაც დაიხარჯა თანხები.

— 20 პროცენტი წავიდა კომუნიკაციებისთვის და გზების მშენებლობაზე, ეს ნამდვილად ვიცი, კიდევ 20 პროცენტი კი ბიუჯეტის შესავსებად გამოიყენეს და ა.შ. ეტყობა, ეს სჭირდებოდა ქვეყანას, რათა ელემენტარულ დონეზე შეენარჩუნებინათ წარმოება, მშენებლობის მხარდაჭერა და დღესაც, ყველა მონაცემებით, რეცესიაში ვართ. ჩვენ მუდმივად გვჭირდება ეკონომიკის პროვოცირება, განსაკუთრებით, ეს ეხება კომუნიკაციის დარგს, გზებს, ხიდებს. სხვაგვარად ქვეყანა ვერ განვითარდება. ჩემი აზრით, ძალიან საშიში ტენდენციაა ბიუჯეტის ზედმეტი სოციალიზაცია. მესმის, რომ ახლა უჭირთ პენსიონერებს, ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანებს, მაგრამ ბიუჯეტის მეტად გასოციალურებით ჩვენ მივიღებთ იმას, რომ წარმოება არ განვითარდება და ეს კატასტროფაა.

— ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აცხადებს, რომ მას აქვს გონივრული ეჭვი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი გარკვეულ თანამდებობის პირთა ახირებებს ხმარდებოდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ გასასტუმრებელი ვალების თანხა შეიძლება ამ ადამიანებისგან ამოიღონ, იმ შემთხვევაში, თუ ეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით დადგინდება?

— ვერ გეტყვით, მაგრამ, მე მგონი, ამაში დაეჭვება არ შეიძლება. ეს მართლაც ასე ხდებოდა და გადახარჯვა ყველა სამინისტროს ჰქონდა. საარჩევნო წელიწადი იყო და, აქედან გამომდინარე, არა მგონია, დიდი პრობლემა იყოს ამის დამტკიცება. დანარჩენი, იურისტების საქმეა.

— გასასტუმრებელი საგარეო ვალის თანხა საქართველოსნაირი ღარიბი ქვეყნისთვის ნამდვილად დიდი თანხაა. ამ თვალსაზრისით, რომელ ქვეყანას ვედრებით, რომელსაც ამხელა ვალი ექნება გასასტუმრებელი?

— მართლაც მნიშვნელოვანი თანხაა. სხვათა შორის, ასეთნაირად თუ შევადარებთ, ცუდი მდგომარეობა არ გვაქვს, რადგან მთელ მსოფლიოში დღეს ვალების პრობლემაა. იაპონიას 220 % აქვს, გერმანიას, ამერიკას და ა.შ. ხოლო, თუ უზბეკეთს შევედრებით, რომელსაც საგარეო ვალი საერთოდ არ აქვს, მაშინ ცუდად გვქონია საქმე. ციფრობრივად ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვიღაცასთან შედარებით უარესი მდგომარეობა გვაქვს.

— მაგრამ იმ ქვეყნებს ხომ უფრო შეუძლიათ ვალების გასტუმრება?

— მაგალითად, საბერძნეთს სერიოზული პრობლემები აქვს, მათ შორის, სოციალური. იქ დიდი უმუშევრობაა, თუმცა შედარებით უკეთესად არიან დაგროვილი მთლიანი შიდა პროდუქტის ხარჯზე. ამის მიუხედავად, სოციალური აფეთქება იქ ჯერ კიდევ მოსალოდნელია. მეტსაც გეტყვით, ჯერ პიკისთვისაც არ მიუღწევია.

მარიამ ლოლაშვილი

SIC!

ბაჩო ახალაიას საქართველოში დაბრუნება, შესაძლოა, ძველი ხელისუფლების თამაში იყოს

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საქართველოში დაბრუნების სამ სავარაუდო მიზეზზე საუბრობს .

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მამუკა არეშიძემ განუცხადა, **პირველი ვერსია არის ის, რომ მისთვის რთული იქნება, ნებისმიერ ქვეყანას თავი ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეაფაროს, რადგან „მას საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავს“. არეშიძის განმარტებით, ბაჩო ახალაიას მტრები ჰყავს და ესენი არიან როგორც კონკრეტული ადამიანები, ბიზნესმენები, რომლებიც საქართველოდან გაიქცნენ, ასევე კრიმინალური სამყარო, „რომელიც მან ძალიან გაამწარა“. არეშიძის თქმით, ახალაიას ასევე მტრები ჰყავს ლოპოტის სპეცოპერაციის შემდეგ, რომელიც, ექსპერტის განცხადებით, სწორედ ახალაიამ ჩაატარა. „თუმცა, ეს ვერსია ყველაზე სუსტი მგონია“,** — განაცხადა არეშიძემ.

რაც შეეხება მეორე ვერსიას, არის ის, რომ დაბრუნებით ახალაიამ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გადადგა ნაბიჯი. **„ამით ის საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს. ახალაიამ ეს ნაბიჯი გადადგა, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ არ არის კმაყოფილი იმ მდგომარეობით, იმ როლით, რაც მას სააკაშვილმა დააკისრა, რომელმაც რაღაც მომენტში გაწირა კიდევ ახალაია“,** — განაცხადა არეშიძემ.

რაც შეეხება მესამე ვერსიას, ექსპერტი ვარაუდობს, რომ ეს შეიძლება იყოს ყოფილი ხელისუფლების ერთგვარი თამაში, გათვლილი იმაზე, რომ ბაჩო ახალაია დაბრუნებულიყო საქართველოში და იმ შემთხვევაში, თუ მას დააპატიმრებენ, „პოლიტიკური დევნილის მანტია მოესხა“.

„მე მაინც ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავებს უამრავი ინფორმაცია აქვთ ახალაიას წინააღმდეგ, ამ ინფორმაციას სჭირდება გამყარება იურიდიული თვალსაზრისით. დღევანდელი ხელისუფლება ვერ მოიქცევა ისე, როგორც იქცეოდა ძველი ხელისუფლება, როდესაც რაღაც „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე შეეძლო ადამიანები დაეკავებინათ. იმ შემთხვევაში, თუ ასე მოუმზადებლად დაიკავებენ ახალაიას, მაშინ ნებისმიერი სასამართლო, რომელიც დღეს ისევ კუბლაშვილების ხელშია, გაამართლებს მას და მერე რთული იქნება მდგომარეობის შემოტრიალება“, — დასძინა არეშიძემ.

ინფორმაცია

ბაჩო ახალაიამ პასუხი უნდა აგოს შვიდი აღამიანის სიხეში მკვლელობისთვის

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარის აზრით, მხოლოდ „ცინის ბუნტია“ საკმარისი იმისთვის, რომ ბაჩო ახალაიამ პასუხი აგოს. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროში გაფლანგულ მილიონებს, თუ სხვა დანაშაულობებს, შემდგომში გამოჩნდება“.

დევნილთა შეჭრებს „ნაციონალების“ აქტივისტები მართავდნენ

განსახლების სამინისტრო იმ დევნილების მიმართ, ვინც უკანონოდ შეიჭრა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ და კერძო ობიექტებში, სამართლებრივ ღონისძიებებს გაატარებს. ამასთან დაკავშირებით განცხადება გუშინ განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ გააკეთა.

მისი თქმით, ბოლო პერიოდის განმავლობაში სამინისტროსთან არსებული საკოორდინაციო საბჭო და უწყებათაშორისი კომისია ამ ფაქტებს სწავლობდა. აღმოჩნდა, რომ დევნილების შეჭრის პროცესს დაინტერესებული პირები მართავდნენ. დარახველიძის განცხადებით, ამ ფაქტების შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს უკვე ეცნობა.

„საქართველოს მთავრობა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო შეწუხებულია დევნილთა ფაქტობრივი მძიმე მდგომარეობით, მაგრამ ამავე დროს შეშფოთებულია იმ მოვლენებით, რომელსაც აქვს უაღრესად ორგანიზებული და მართული ხასიათი. ფიქსირდებიან „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები და ყოფილი კოორდინატორები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მართავენ ამ შეჭრებს. იმ ოჯახებს, რომელთაც არ ეკუთვნით და შეიჭრნენ გაფართოების ან ახალი ფართის დაკავების მიზნით, მოუწევთ დაუბრუნდნენ თავიანთ არსებულ ფართებს, ხოლო იმ ოჯახებს, რომელთაც არსად წასასვლელი არა აქვთ, სამინისტრო სთავაზობს ალტერნატიულ ფართს. ვინც არ დაემორჩილება ჩემს მიერ გამოცხადებულ პროცედურებს, მათ მიმართ გატარებული იქნება სპეციალური ოპერატიული პროცედურები“, — განაცხადა დარახველიძემ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პარლამენტი დედაქალაქში დაბრუნების მოლოდინში

360 მილიონლარიან პარლამენტში კვლავ წვიმს. ქუთაისში წვიმის მოსვლა უკვე საკანონმდებლო ორგანოში წვიმის ჩასვლასთან ასოცირდება. ნალექისგან შენობის დაცვას მთამსვლელები ცდილობენ, კერძოდ, შუშის სახურავს ე.წ. სილიკონისა და გერმეტიკის წებოთი ამუშავებენ, მაგრამ მათი შრომა ჯერჯერობით უშედეგოა, რადგან წვიმა შენობაში გუბეებს ისევ აყენებს. ორგანოში მოწყობილია კაფეტერია, რომელიც ამ ეტაპზე, უფუნქციოა, რის გამოც დეპუტატები უკვე „აწუწუნდნენ" და აპარატს პრობლემის მოგვარება დაავალეს, თუმცა, ალბათ, კაფეტერია სრული დატვირთვით მხოლოდ სასესიო კვირას იმუშავებს, რადგან საკომიტეტო კვირაში, პარლამენტში სულ რამდენიმე კანონმდებელი დადის.

პრობლემების არსებობის მიუხედავად, რა ეტაპზეა, პარლამენტის მშენებლობა და მოხდება თუ არა „საპარლამენტო ქალაქიდან" დედაქალაქში ქვეყნის უმაღლესი ორგანოს დაბრუნება for.ge პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს, პარლამენტზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს ***ზურაბ ტყემალაძეს*** *ესაუბრა:*

პარლამენტის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების წარმომადგენლებს შეხვდით. მათგან რა ინფორმაცია მიიღეთ, რა ეტაპზეა მშენებლობის პროცესი?

— შენობას ვიზუალურად თუ შეხედავთ, შეიძლება ჩათვლოთ, რომ მშენებლობის პროცესი დასრულებულია, მაგრამ ბევრი რამ გასაკეთებელია როგორც ტერიტორიის კეთილმოწყობის თვალსაზრისით, ასევე შენობის შიგნით. სავარაუდოდ, დამატებით 15-17 მლნ ლარის სამუშაოებია შესასრულებელი. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ამ შენობის მდგრადობაზე ექსპერტიზის ბიუროს მიერ დასკვნაც კი არ არსებობს და არ ვიცით, ამ მხრივ, საქმე როგორ იქნება. აქედან გამომდინარე, კანონს ვარღვევთ და იმ შენობას ექსპლუატაციას ვუწევთ, რომელიც მიღებული არ არის. გარდა ამისა, შენობა კერძო სამართლის იურიდიული პირის - შ.პ.ს. სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ბალანსზეა და საექსპლოატაციო ხარჯებს თვითონ უნდა იხდიდეს, რასაც არ აკეთებენ და გაურკვეველ სიტუაციაში ვართ. თუმცა, სანამ შენობას არ ჩაგვაბარებენ, მანამდე ამ თანხებს, ისინი გადაიხდიან. ამასთან, მთელი რიგი სამუშაოები სამართლებლივად პრობლემურად მიგვაჩნია, რადგან სამუშაოებში გადახდილია 340-360 მლნ ლარი და შენობა ისევ დასამთავრებელია. საინტერესო ის არის, რომ ამ სამუშაოების დადასტურებას ქუთაისის ტექნიკური ზედამხედველობის თანამშრომელი ახორციელებდა, რომელმაც საერთოდ არ იცოდა შენობაში თუ რა და როგორ კეთდებოდა, მაგრამ სამუშაოებს მაინც ადასტურებდა. კანონმდებლობით კი, ეს მას არ ეხებოდა, რადგან ეს შენობა მეხუთე კატეგორიისაა და მას არც ნებართვის გაცემის უფლება ჰქონდა და არც შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა ევალებოდა. ეს საქმე საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურს უნდა გაეკეთებინა, რომელიც ეკონომიკური სამინისტროს შემადგენლობაში შედის. საქმე აქაც დარღვევასთან გვაქვს და როგორც იურიდული, ასევე ფინანსური საკითხები კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და მიმაჩნია, რომ ეს საკითხი, დამატებითი შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

— პარლამენტის მშენებლობის პროცესი შეჩერებულია. შენობის გარეთა პერიმეტრიც მოსაპირკეთებელია. სამუშაოების შეჩერების ბრძანება ვინ გასცა და მშენებლობის პროცესი თუ გაგრძელდება?

— მშენებლობა ვისი დავალებით არის შეჩერებული, ამას ვერავინ ამბობს. თუმცა, მშენებლები აცხადებენ, რომ სამუშაოები რომ გააგრძელონ, ამისთვის მთავრობის დასტური სჭირდებათ და სწორედ აქ არის დიდი კითხვის ნიშანი, რადგან ახალმა მთავრობამ იმაზე რატომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რაც ძველი ხელისუფლების მიერ უნდა ჩაბარებულიყო? პარლამენტის თავმჯდომარე გადაწყვეტს, მთელი რიგი საკითხები ვინ უნდა შეისწავლოს - კომიტეტებმა, საქმე აუდიტს უნდა გადაეცეს თუ საკითხის სამართლებლივი შესწავლა მოხდეს.

— დეპუტატთა სამუშაო ჯგუფს შენობის პროექტიც კი არ აქვს. შესაბამისად, არ იცით, მშენებლობის პროცესი რა ეტაპზეა, თუმცა, თქვენი ინფორმაციით, სამუშაოებს ვინ კურირებდა, კვალი ვისთან მიდის?

— სამინისტროების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე, ქუთაისის მერიიდან დამატებით ხალხი გამოვიძახეთ და ინფორმაცია მოვითხოვეთ — თუ რა უნდა გაკეთებულიყო და რა გაკეთდა, მაგრამ ესეც კი არ იციან. არადა, 70 მლნ ქუთაისის მერიას აქვს გადახდილი.

— როგორც აქამდე ჩანდა, ამ მშენებლობას ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი კურირებდა, რისთვისაც მას პრეზიდენტმა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, როდესაც ქუთაისის ახალ პარლამენტში პირველი პლენარული სხდომა ჩატარდა, ორდენი გადასცა. მას რაიმე პასუხისმგებლობა არ ეკისრება?

— ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ უწყებას მხოლოდ ის ჰქონდა დავალებული, რომ მშენებლობის პროცესისთვის არაოფიციალური ზედამხედველობა გაეწიათ და მავანს და მავანს კონტაქტებში დახმარებოდნენ, რომ მშენებლობა არ შეჩერებულიყო. მშენებლობას კი, არაოფიციალურად ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელობდა.

— ახალი პარლამენტის მშენებლობის ხარჯები ახალი ხელისუფლების მოსვლამდე გასაიდუმლოებული იყო. თუ გაარკვიეთ, ამ თანხებს ვინ ფარავდა?

— ეს თანხები, ბიუჯეტიდან არ მიდიოდა, არამედ კერძო სამართლის იურიდიული პირის — შპს სახელმწიუფო უზრუნველყოფის სააგენტოს სახსრები იყო, მაგრამ ამ თანხებს, ის საიდან მოიპოვებდა, აი ეს არის საინტერესო. როგორც ირკვევა, მას ევროობლიგაციებიდან შემოსული რაღაც გარკვეული თანხები ჰქონდა, ასევე გაზისა და ნავთობის კორპორაციიდან აქვს თანხები ნასესხები, რომელიც დასაფარია. ეს საკითხი, შესასწავლია, მაგრამ მას გადასესხების უფლება არ ჰქონდა, რადგან გადასესხების უფლება შეიძლება ჰქონდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირზე, ისიც მხოლოდ ბანკის საშუალებით, მაგრამ შეფასებაში ფრთხილი ვარ და სანამ ვიტყვი, რომ დანაშაული არსებობს, ამას ოფიციალური გამოკვლევა სჭირდება. ამასთან, ასევე სხვა წყაროები არსებობდა, კერძოდ, სახელმწიფო ქონებას პრივატიზებას უკეთებდნენ, თუმცა, რამდენად სამართლიანად, ამას ვნახავთ.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა არ არსებობს, თუმცა, ფაქტია, რომ შენობა საკმაოდ უხარისხოდ თუ ნაჩქარევად არის აშენებული. დღემდე, შენობაში წვიმა ჩამოდის, იბზარება მინები და ა.შ. პირველადი შეფასებით, რამდენად დაცულია უსაფრთხოების ნორმები?

— სანამ დასკვნა არ იქნება დადებული, რომელიც პასუხისმგებლობის აღებას გულისხმობს, რომ შენობა უსაფრთხოა, მანამდე ჩვენი აქ ყოფნა უკანონოა და ჯვარი გვწერია, რაღაც რომ მოგვივიდეს, გვეტყვიან — თქვენი ბრალია, შენობაში რას შემოდიოდითო.

დეპუტატებისა და აპარატის თანამშრომლების ბინების ქირის ხარჯების დასაფარავად დანამატის სახით, ბიუჯეტიდან თანხები გამოიყოფა. კანონმდებლებისთვის — 667 ლარი, ხოლო თანამშრომლებისთვის — 300-400 ლარი. ამას ემატება პარლამენტის კომუნალური გადასახადები და ამბობენ, რომ თვეში ელექტროენერგიის ხარჯი დაახლოებით — 200 ათასი ლარი იქნება. ამ ხარჯების ფონზე კი, ვხედავთ, რომ დეპუტატები ქუთაისის პარლამენტში სიარულით თავს არ იკლავენ, თუ არ ჩავთვლით პლენარული სხდომების კვირას. ქვეყანა მზად არის, რომ ამ ტიპის ხარჯები გაწიოს?

— ეკონომიკური ხარჯები თუ რა რაოდენობას შეადგენს, ამას შევისწავლით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მინისტრების მოადგილეები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები რომ ჩამოვიდნენ, ამისთვის სამივლინებო ხარჯები გაიწევა და ესეც დამატებით ფინანსებს მოითხოვს. ერთი თვის განმავლობაში, ხარჯები როგორი იქნება, ამას დავითვლით და მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ ზედმეტი ხარჯი თავიდან იქნეს აცილებული.

— რეგლამენტის მიხედვით განისაზღვრა, რომ ერთი კვირა სასესიოა, ხოლო მეორე კვირა ამომრჩევლებთან შეხვედრას უნდა დაეთმოს, რაც პირობითია, რადგან მოდით, წავიდეთ და ვნახოთ, ვინ რომელ ამომრჩეველს ხვდება. არ მგონია, რომ დეცენტრალიზაცია ქვეყნის პარლამენტს უნდა ეხებოდეს, რადგან დედაქალაქი თბილისია. დეცენტრალიზაციის ერთი თვალსაჩინო მაგალითი კი, კონტროლის პალატაა, სადაც ვერც თავმჯდომარეს ნახავთ და ვერც მის მოადგილეებს, გარდა აფხაზეთის კონტროლის პალატის თავმჯდომარისა, რომელიც პარალელურად უწყების ხელმძღვანელის მოადგილეცაა. ეს ქუთაისში დასვეს და ეს არის და გორის ციხე. ეს არ არის დეცენტრალიზაცია და კონტროლის პალატა, ან თბილისში უნდა დაბრუნდეს, ანდა, ყველა ქუთაისში უნდა ჩამოვიდნენ და არა ისე, რომ სადაც გავიღვიძებ, იქ კაბინეტი მქონდესო.

— თბილისში, რუსთაველის გამზირზე, არსებული საკანონმდებლო ორგანოს ისტორიული შენობის გაყიდვა ვერ მოესწრო. თუმცა, ილია ჭავჭავაძისა და პირველი რესპუბლიკის დარბაზების, ასევე პლენარული სხდომების დარბაზის დემონტაჟი განხორციელდა. შენობიდან ინვენტარი გატანილია. საკანონმდებლო ორგანოს დედაქალაქში დაბრუნებაზე საუბარია, თუმცა, ეს პროცესი რა ვადებს მოითხოვს?

— მიგვაჩნია, რომ პარლამენტი ქვეყნის დედაქალაქში უნდა იყოს. თუმცა, თუ ვინმე პოლიტიკურ ან ეკონომიკურ მიზანშეწონილობას დაამტკიცებს, არც მე და არც ჩემი კოლეგები წინააღმდეგები არ ვიქნებით, რომ ქუთაისში ვიმუშაოთ. ამ მომენტისთვის მიმაჩნია, რომ მთავრობასთან ერთად პარლამენტმა ხელიხელჩაკიდებულმა უნდა იმუშაოს და დრო წინ და უკან სიარულს კი არ უნდა მოვანდომოთ, არამედ უნდა ვისხდეთ და საქმის წარმოება უნდა მიმდინარეობდეს. ამასთან, პარლამენტის ქუთაისში არსებობა კონსტიტუციით არის განსაზღვრული და ამას ცვლილება სჭირდება, მაგრამ კანონპროექტის მიღების შემდეგ, სამუშაოების ჩატარება უკვე შესაძლებელი იქნება. იქ არაფერი ისეთი არ არის დანგრეული, იატაკია აყრილი, რომელიც ისედაც უნდა გამოცვლილიყო და ეს პრობლემა არ არის, თუმცა ინვენტარი და ავეჯი გატანილია და სად არის წასული და ვისთან, ეს არ ვიცით. ამის მოტივი კი ის იყო, რომ შენობაში სხდომა არ უნდა ჩატარებულიყო.

— პარლამენტის თბილისში დაბრუნებას საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება, რომელიც ჯერჯერობით არ გყავთ. უმცირესობას ექვსკაციანი ჯგუფი გამოეყო, რომლებმაც ფრაქცია შექმნეს, თუმცა, საკითხზე აზრთა თანხვედრის მიუხედავად, უმრავლესობა მაინც არ გამოგდით. „ნაციონალების" მაჟორიტარებთან კონსულტაციებს თუ მართავთ, რომ უმცირესობის რიგები დატოვონ?

— კონსულტაციებს არ ვმართავთ, მაგრამ რამდენიმე დეპუტატთან პრინციპული შეთანხმება მიღწეულია და მათ დრო სჭირდებათ, რომ ეს ნაბიჯი გადადგან. ჩვენ კი, არავის არ დავაჩქარებთ, თუ მოხერხდება, ძალიან კარგია, თუმცა, ვფიქრობ, რომ თემატური უმრავლესობა შეიქმნება და პარლამენტის გადასვლაზე თანხმობას უმცირესობიდანაც ბევრი განაცხადებს.

— რაც შეეხება ქუთაისში არსებულ პარლამენტის 360 მლნ შენობას, თუ გაქვთ გადაწყვეტილი ამ შენობას რა ბედი ეწევა?

— ამ შენობაში რა განთავსდება, არ ვიცით, რადგან ეს არ არის ჩვენი გადასაწყვეტი. ეს რეკომენდაცია არქიტექტორებმა უნდა მოგვცენ. მათ უნდა თქვან, ეს შენობა რაში უნდა იყოს გამოყენებული. შეიძლება ეს იყოს — უნივერსიტეტი, სავაჭრო ცენტრი, ფილარმონია თუ დასავლეთ საქართველოს სერიოზული ეკონომიკური ცენტრი, მაგრამ ეს საკითხი სპეციალისტებმა უნდა შეისწავლონ.

თეონა მანაგაძე

განცხადება

მოვითხოვთ სრულუფლებიან წევრობას

საქართველოს პარლამენტში მობინადრე წრუწუნები კატეგორიულად მოვითხოვთ ყოველგვარი პირობითობის გარეშე მოგვანიჭოთ პარლამენტის სრულუფლებიანი წევრის სტატუსი, რათა შევქმნათ დამოუკიდებელი კონსტრუქციული პლატფორმა პარლამენტში.

პარლამენტის თავმჯდომარეს ვთხოვთ, ჩვენი განცხადება დაუყოვნებლივ შეიტანოს მომავალ სესიაზე განსახილველ საკითხთა პირველ ათეულში.

ჩვენი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ, მივმართოთ ძალისმიერ მეთოდებს.

საქართველოს პარლამენტში მობინადრე წრუწუნები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჟურნალისტური გამოძიება

მმართველი პარტია ოპოზიციას ხელოვნურად უქმნის ფინანსურ პრობლემებს

საძარცველოში პოლიტიკური კამპანიის დაფინანსების საკითხი ყოველთვის სერიოზულ კანონდარღვევებთან ასოცირდებოდა. „ვარდების რევოლუციამდე“ პარტიები ძირითადად იყენებდნენ „შავ ფულს“, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ სახელისუფლებო პარტია ბიზნესს ფულის პარტიის ანგარიშზე ჩარიცხვას ავალებდა და წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური შემოწმებითა და გაცილებით მეტი ოდენობის სანქციებით ემუქრებოდა.

კანონის თანახმად, პარტიის დაფინანსება ნებაყოფლობითია, თუმცა არსებობს გარკვეული ლიმიტები. მაგალითად, 2010 წლისთვის იურიდიული პირის მიერ პოლიტიკური პარტიის დაფინანსების ზედა ზღვარი 100 000 ლარი იყო, ხოლო ფიზიკური პირის – 30 000 ლარი.

რამდენად თანაბარ პირობებში უწევთ პოლიტიკური ბრძოლა ფინანსური თვალსაზრისით ოპოზიციას და ხელისუფლებას, 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების მაგალითზე განვიხილავთ.

მმართველმა პარტიამ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2010 წლის თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში შემოწირულობების სახით 14 მილიონ 113 ათას 411 ლარი შეაგროვა (ეს იმ ფონზე, როცა იგივე მმართველ პარტიას ყველა ოპოზიციური ძალა ადანაშაულებდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში). არჩევნებში მმართველი ძალის გარდა, 19 საარჩევნო სუბიექტი მონაწილეობდა. მათ მიერ წინასაარჩევნოდ მობილიზებული თანხების ოდენობა ჯამში 7-ჯერ ნაკლებია იმაზე, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება. ამ არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველთა სიაში უმრავლესობას იურიდიული პირები წარმოადგენდნენ. მმართველი პარტია 398 იურიდიულმა და 169 ფიზიკურმა პირმა და ინდმეწარმემ დააფინანსა.

კომპანიების ნაწილმა „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე თანხა რამდენჯერმე ჩარიცხა. ზოგმა კანონით დადგენილ ზედა ზღვარსაც გადააჭარბა, თუმცა ამისთვის ერთგვარი მაქინაციური სქემა გამოიყენა. მაგალითად, „კოკა კოლა ბოთლრს ჯორჯიამ“ პარტიის ანგარიშზე სხვადასხვა კომპანიების ანგარიშებიდან მმართველ პარტიას 77 ათასი ლარი შესწირა. კომპანია „თეგეტა მოტორსმა“ „კანონის დასაცავად“ შვილობილი კომპანიები გამოიყენა და საერთო ჯამში 500 ათასი ლარი ჩაურიცხა „ნაცმოძრაობას“, კომპანიებმა „ავერსი ფარმამ“ და „ავერსი რაციონალმა“ (მათაც ერთი ჯგუფი აკონტროლებს) 100-100 ათასი ლარი გაიღეს... მაშინ, როცა წინასაარჩევნოდ მმართველი ძალის დახმარება 400-მდე კომპანიამ გადაწყვიტა, მისი მთავარი მოწინააღმდეგე „ალიანსი საქართველოსთვის“ არც ერთმა იურიდიულმა პირმა არ დააფინანსა, ხოლო არჩევნებში მონაწილე სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა შემოწირულობა საერთო ჯამში 13 იურიდიული პირისგან მიიღეს. აქედან 9 – პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, 4 კი „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ დაეხმარა.

ამ ფონზე შთამბეჭდავია მმართველი ძალის სარეკლამო დანახარჯებიც 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში – მათ 20-ჯერ მეტი თანხა(11 მილიონამდე ლარი) გადაიხადეს ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის, ვიდრე დანარჩენმა ყველა საარჩევნო სუბიექტმა ჯამში.

საგულისხმოა, რომ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის მთავარი პოლიტიკური ოპონენტის (ალიანსი საქართველოსთვის) დასაფინანსებლად თანხა 60-მდე ადამიანმა გაიღო. როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის არც ერთი იურიდიული პირი არ ყოფილა. იმ ფაქტს, რომ 2007 წლიდან მოყოლებული ბიზნესი ძირითადად მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ ეხმარება, მმართველი პარტია მარტივად ხსნის. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ბიზნესი დაინტერესებულია სტაბილური და ხელსაყრელი გარემოს შენარჩუნებით, რომელიც სწორედ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შექმნა. ოპოზიცია კი ამ ფაქტს ხელისუფლების მიერ ბიზნესის დაშინებას უკავშირებს.

იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია: კომ**პანიები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ყულაბაში სოლიდურ თანხებს სტაბილურად რიცხავდნენ, ხშირად იმარჯვებდნენ სახელმწიფო შესყიდვების მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში და ამით ასევე სოლიდურ მოგებას ნახულობდნენ.**

ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ 19 სამთავრობო უწყების შესყიდვები გადაამოწმა. **ირკვევა, რომ 2007-2010 წლებში „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე 46-მა კომპანიამ 3 მილიონამდე ლარი შეიტანა. ამავე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებით სახელმწიფოსგან ამ კომპანიებმა 32 მილიონ ლარამდე მიიღეს. ამ კომპანიებს შორის არიან „ტოიოტა ცენტრი თბილისი“, „თეგეტა მოტორსი“, „ალტა“, „ალგორითმი“, „ავერსი“, „ჯეოსელი“, „სარკე კონსალტინგი“, „პოპული“, „ნიუენერჯი“, „არსი“, „გლობალ ერთი“, „პე ეს პე“, „ჯი პი სი“, „გზამშენი-4“ და ა.შ.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც გამოძიების პროცესში გამოიკვეთა, **ნაციონალური მოძრაობის შემომწირველთა სიაში არსებული უზუსტობები, შეიძლება ითქვას, ყალბი მონაცემებია. ფიზიკური პირების ნაწილმა, რომლებმაც „ნაციონალურ მოძრაობას“ თანხა შესწირეს, ამის შესახებ თავადაც არ იცოდა.** ლევან სოზიაშვილი უმუშევარია. ოფიციალური მონაცემებით, მან ნაციონალურ მოძრაობას 20 000 ლარი გადაურიცხა, თუმცა, ამის შესახებ მისთვის ცნობილი არ იყო. ზვიად მოხევიშვილს, რომელიც სოფელ მისაქციელში ცხოვრობს, ნაციონალურ ყულაბაში 30 000 ლარი გადაურიცხავს, რასაც თავადაც არ უარყოფს, თუმცა მისი მეუღლე ამ ფაქტით გაოცებულია, რადგან მოხევიშვილი რკინიგზაზე დაცვის სამსახურში მუშაობს და მისი შემოსავალი ასეთი თანხების გაღების საშუალებას არ იძლევა.

2011 წლის ოქტომბრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი დაუპირისპირდა და არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა, სასწრაფო წესით შეიცვალა კანონმდებლობა და იურიდიულ პირებს პარტიების დაფინანსება აეკრძალათ. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მმართველ ძალას შეეშინდა მოწინააღმდეგეს მათივე მეთოდი არ გამოეყენებინა და ივანიშვილის მფლობელობაში არსებული კომპანიების შვილობილი კომპანიებით ახალ ოპოზიციურ გაერთიანებას თანხები არ მიეღო. მართალია, ფიზიკურ პირებს 30 000 ლარის ნაცვლად პარტიისთვის 60 000 ლარის შეწირულობის გაკეთების უფლება მიეცათ, მაგრამ, ამავდროულად, ფიზიკური პირის შემოსავლების კანონიერების შემოწმების უფლება კონტროლის პალატის აუდიტის სამსახურს დაევალა. ეს სამსახური პრაქტიკულად გახდა სადამსჯელო რგოლი პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლაში. კანონმდებლობით დადგინდა, რომ უკანონო შემოწირულობა პირველ ჯერზე შემოწირულობის ოდენობის ხუთმაგი, ხოლო მეორე ჯერზე ათმაგი ოდენობით განისაზღვრებოდა. ამავდროულად, ჯარიმდებოდა როგორც თანხის ჩამრიცხავი, ანუ ფიზიკური პირი, ასევე მიმღები, ანუ პარტია.

საარჩევნო პერიოდის განმავლობაში მმართველი პარტიის მთავარი ოპონენტისა და მათი შემომწირველების დაჯარიმებებმა ისეთი ტენდენცია მიიღო, ბევრი კურიოზული შემთხვევაც დაფიქსირდა.

საერთო ჯამში ბიძინა ივანიშვილის ჯარიმების მოცულობამ 300 მილიონ ლარს გადააჭარბა. დაჯარიმდა ასეულობით მოქალაქე, რომლებმაც თანხები „ქართული ოცნების“ ანგარიშზე ჩარიცხეს. უმრავლესობას, ჯარიმის არგადახდის გამო დაუყადაღეს და აუქციონზე გაუყიდეს ქონება...

ყველა ისტორიის განხილვა თავისთავად შეუძლებელია და საჭიროებასაც არ წარმოადგენს, მაგრამ თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ ერთ მათგანს:

ბიძინა ივანიშვილის ძმის კომპანია „გლობალ ტივიმ“ დაიწყო ახალი პროექტი, რომელიც მოსახლეობისთვის სატელიტური თეფშების განვადებით დაყენებას ითვალისწინებდა. ეს აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური ლიდერის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვად ჩათვალა და ბიძინა ივანიშვილი 75 მილიონი ლარით დააჯარიმა.

ივანიშვილმა ჯარიმა არ გადაიხადა, რის გამოც აღსრულების ბიურომ მის მფლობელობაში არსებული ბანკი „ქართუ“ აუქციონზე გასაყიდად გაიტანა.

ბანკი აუქციონზე არ გაიყიდა და ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ბანკი, ჯარიმის ამოღებამდე სახელმწიფო მმართველობაში გადასულიყო.

ხელისუფლებამ დანიშნა ბანკის დროებითი ადმინისტრაცია. ახალმა ადმინისტრაციამ თანამდებობიდან გაათავისუფლა ბანკის პრეზიდენტი და კომპესაციის სახით აუნაზღაურა 3 თვის ხელფასის ოდენობა, ჯამში 20 ათასი ლარი. ბანკის პრეზიდენტმა ამ 20 ათასი ლარიდან 15 ათასი შეიტანა „ქართული ოცნების“ ანგარიშზე. კონტროლის პალატის აუდიტის სამსახურმა ჩათვალა, რომ ეს იყო უკანონო შემოწირულობა, რადგან ბანკის პრეზიდენტს ამ ოდენობის შემოსავალი არ ჰქონდა და დააჯარიმა 75 ათასი ლარით. მიუხედავად იმისა, რომ დაჯარიმებულმა სასამართლოს წარუდგინა ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მას 20 ათასი ლარი, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების კომპენსაცია ხელისუფლების მიერ ბანკში დანიშნულმა დროებითმა ადმინისტრაციამ ჩაურიცხა, სასამართლომ ჩათვალა, რომ დაჯარიმებულმა ვერ დაასაბუთა მისი შემოსავლების კანონიერება და აუდიტის სამსახურის დადგენილება ძალაში დატოვა...

ასეა თუ ისე, საქართველოში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი ისევ მოუგვარებელია. ხელისუფლება ყველა ბერკეტს იყენებს იმისათვის, რომ მმართველმა ძალამ მიიღოს თანხები და, ამავდროულად, დაფინანსების ყველა გზას უჭრის ოპოზიციას. ეს, რა თქმა უნდა, ქმნის არაკონკურენტულ გარემოს და ხელს უშლის არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარებას.

ნათია ორველაშვილი,
ჟურნალისტური გამოძიება მომზადებულია
დანიური საგამოძიებო ორგანიზაცია SCOOP-ის მხარდაჭერით

◎ ინიციატივა

საინიციატივო ჯგუფის წევრები რექტორს მიმართავენ

რამდენიმე დღეა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორთა ინიციატივით ჩამოყალიბდა პოლიტიკური ნიშნით დევნილ და უსამართლოდ გათავისუფლებულ პროფესორთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან თსუ-ს ყოფილი პროფესორები: ხათუნა ჩარკვიანი, ლელა გაფრინდაშვილი, თამარ კიკნაძე, გიორგი ყიფიანი, აველინა დავითულიანი, ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა, გოჩა მამულაშვილი, მარიამ ცაცანაშვილი, მაკა კვაჭაძე, ერეკლე ასტახიშვილი, ნინო მიქიაშვილი, ეკა ჩოხელი, რუსუდან სეთურიძე, ასევე სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენლები ლევან ლორთქიფანიძე, სანდრო ცაგარელი.

საინიციატივო ჯგუფის მიზანია კოორდინაცია გაუწიოს ,,ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ნაციონალური ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ნიშნით დევნილი და უსამართლოდ გათავისუფლებული პროფესორების მოძრაობას, მათი უფლებების აღდგენისა და დაცვის მიზნით. საინიციატივო ჯგუფი, განათლების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის ამა წლის 30 ოქტომბრის მიმართვის შესაბამისად, სადაც მინისტრი მხარეებს მოუწოდებს, რომ უახლოეს 2-3 კვირაში მოხდეს ყველა შესაძლებლობის გამოყენება და საერთო ენის გამონახვა, რათა დაიწყოს თანამშრომლობა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულმა დავებმა არ გადაინაცვლოს სასამართლო უწყებაში, გეგმავს თსუ-ს რექტორთან ბატონ ალექსანდრე კვიტაშვილთან შეხვედრას, თსუ-ში შექმნილი მდგომარეობის გაანალიზებისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

საინიციატივო ჯგუფი რექტორთან გამართული შეხვედრისა და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის განათლების მინისტრს, რომელიც პირადად გაუწევს კონტროლს მიმართვაში გაჟღერებული ინიციატივის შესრულებას.

საინიციატივო ჯგუფმა უკვე მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ივანე კიღურაძეს ჯგუფის მიზნებისა და მომავალი გეგმების შესახებ, ასევე მიმართა მას თხოვნით, რომ უახლოეს პერიოდში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში მოეწყოს საკომიტეტო მოსმენა გაფართოებული ფორმატით, პოლიტიკური ნიშნით დევნილ და უსამართლოდ გათავისუფლებულ პროფესორთა საქმესთან დაკავშირებით, სადაც საგანგებოდ იქნება მოწვეული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაციები და მედია.

ნატა ნიბლაძე

◎ ინფორმაცია

შვილის ნამებაში აღანაშაულებს

პოლიციელის მკვლელობაში მსჯავრდებულის რატი რეხვიაშვილის დედა მარინა ქებაძე მისი შვილის წამებაში ვლადიმერ ბედუკაძეს და ვანო მერაბიშვილს ადანაშაულებს. როგორც მარინა ქებაძემ განაცხადა, მისმა შვილმა მთავარი პროკურორის სახელზე ცოტა ხნის წინათ გაავრცელა განცხადება, სადაც საუბრობს როგორ აწამებდნენ მას სპატიმროში ვლადიმერ ბედუკაძე და სხვა მაღალჩინოსნები.

როგორც რატი რეხვიაშვილის დედა ამბობს, მისი შვილი 48 საათის განმავლობაში დეწზეც ჰვავდათ მიერთებული. მისი თქმით, სასტიკი, მუდმივი წამების გამო მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია. მარინა ქებაძის განცხადებას თან ახლავს რატი რეხვიაშვილის ჩვენება, რომელშიც მოყოლილია, თუ როგორ აწამებდა მას ციხის ზედამხედველი ვლადიმერ ბედუკაძე. „მწამებელთა შორის იყვნენ მაღალჩინოსნებიც, რომელთა ვინაობასაც რატი დაკითხვისას დაასახელებს. ჩემი მოთხოვნაა, დაიწყოს გამოძიება რატის უდანაშაულობის დასამტკიცებლად და ასევე იმ პირთა დასასჯელად, რომლებიც წლების მანძილზე ჩემს შვილს აწამებდნენ,“ – აცხადებს მარინა ქებაძე. რატი რეხვიაშვილი პოლიციელის მკვლელობის ბრალდებით 2009 წელს დააკავეს. მას 30 წელი აქვს მისჯილი.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ტაკეო ფუნაბიკი

გასულ წელს იაპონიაში მომხდარმა მიწისძვრამ კიდევ ერთხელ განაცვიფრა და აალაპარაკა მსოფლიო ამ იდუმალ და უნიკალურ ხალხზე. იაპონელები კი, როგორც მათ სჩვევიათ, დროს არ კარგავენ და შანსს არ უშვებენ ხელიდან, რომ მათზე ალაპარაკებული მსოფლიო კიდევ უფრო მეტად დააინტერესონ თავიანთი თვითმყოფადი კულტურითა და უნიკალურობით.

სწორედ ამ მისიით და, როგორც თვითონ მიიჩნევს, მოვალეობით ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ტოკიოს უნივერსიტეტის კულტურული ანთროპოლოგიის პროფესორი, ბატონი ტაკეო ფუნაბიკი. 2 ნოემბერს მან საკმაოდ ვრცელი ლექცია წაიკითხა იაპონიის ისტორიაზე და იაპონიაში გავრცელებულ რელიგიებზე. ლექციას დაესწრნენ როგორც სტუდენტები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები და ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც მუდამ თვალყურს ადევნებენ იაპონიას და შორიდან ეტრფიან მას.

ეს ლექცია გაიმართა იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში და საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ იყო ორგანიზებული.

ლექციის შემდეგ პროფესორ ფუნაბიკის ინტერვიუ ვთხოვეთ, რაზეც ის თავაზიანად დაგვთანხმდა.

იდუმალი იაპონელები მიწისძვრის შემდეგ

„ჯიშინ-კამინარი-კაჯი-ოიაჯი“

— იაპონური ანდაზის თანახმად „ჯიშინ-კამინარი-კაჯი-ოიაჯი“, ყველა ადამიანს უნდა ეშინოდეს მიწისძვრის, ჭექა-ქუხილის, ცეცხლის და მამის. იაპონიის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, იაპონელები სტიქიური უბედურებისთვის მუდმივ მზადყოფნაში არიან. როგორ აისახება ეს ჩვეულებრივი იაპონელის ყოველდღიურ ცხოვრებაზე?

— ეს მნიშვნელოვანი კითხვაა და ამავე დროს ჩვეულებრივიც. შემიძლია მარტივად გიპასუხოთ: სტიქია ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს იაპონელის ცხოვრებაზე, თუმცა ასეთი პასუხი კლიშეა. სტიქიური უბედურებები იმდენად შერწყმულია იაპონელის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, რომ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, რა ზეგავლენას ახდენს იგი იაპონელის მენტალიტეტის ჩამოყალიბებაზე. იაპონიაში ხშირად არის მიწისძვრები, ტაიფუნები, რაც, მისი გეოგრაფიული მდებარეობით არის გამოწვეული. ვფიქრობ, ეს იაპონელის მენტალიტეტის განმასაზღვრელი ფაქტორია. ალბათ, გაგიგონიათ იაპონური თხზულება „ჰოჯოკი“(*„ჩემი ქოხის ჩანაწერები“), დაწერილი 1212 წელს კამო ნო ჩომეის მიერ, რომელიც ბუდისტი ბერი გახდა, მთებში დასახლდა და აღწერა ის უბედურებები, რაც კიოტოს მიწისძვრას მოჰყვა* — ***თ. ნ.***). XIII საუკუნის ეს ნაწარმოები გვეუბნება, რომ ცხოვრება ძალიან არამყარია. „ჰოჯოკი“ ყველა იაპონელმა იცის, სკოლაში ისწავლება. სტიქიური უბედურებები, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იაპონელის მენტალიტეტზე, აისახება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სოციალურ დიზაინსა თუ ინფრასტრუქტურაზე. თუმცა, ისეთი მიწისძვრა, როგორიც 2011 წლის 11 მარტისა იყო, ცხოვრებაში ერთხელ ან ორჯერ ხდება. ეს დაახლოებით 50-წლიანი ციკლია. მე მახსოვს 1960 წელს ნაგოიაში მომხდარი ტაიფუნი, რომელსაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ინფრასტრუქტურა განვითარდა და ჩვენ უფრო მომზადებულები შევხვდით შარშანდელ სტიქიას. თუმცა ვიცით, რომ მსგავსი კატასტროფა კიდევ განმეორდება და მაშინ გამოჩნდება, რომ ჩვენი მზადყოფნა მაინც უძლურია ამგვარი სტიქიის წინაშე. ეს სიტყვებიც კლიშეა, მაგრამ რეალურად მართლა ასეა. მეცნიერები მუდმივად ვიკვლევთ ამას, მაგრამ მე ორმოცწლიანი კვლევების შემდეგ დავასკვენი, რომ ყველა კვლევა საბოლოოდ მაინც ჩვეულებრივი ხალხის ნათქვამსა და შეხედულებას ადასტურებს.

— ლექციაზე ახსენეთ, რომ მსოფლიო იაპონიზებულია. რას გულისხმობდით ამაში? როგორია, იყო იაპონელი და იცოდე, რომ მთელი მსოფლიო მიგიჩნევს იდუმალ და უნიკალურ ერად?

— ეს ხუმრობით ვთქვი, თუმცა, მთლად ხუმრობა არაა. მე მართლა ვფიქრობ, რომ მსოფლიო იაპონიზებულია და ეს ჩვენი ისტორიიდან გამომდინარეობს. რომ ავიღოთ, მაგალითად, მე-17-18 საუკუნეების ედო (ტოკიოს *ძველი სახელწოდება* — ***თ. ნ.***), ურბანული ცხოვრება იქ ძალიან გავითარებული იყო. იყვნენ გეიშები, არსებობდა გართობა და ისეთი რაღაცები იყო დაშვებული, რაც დასავლურ სამყაროში იკრძალებოდა. ის, რაც დასავლეთში გასულმა საუკუნემ მოიტანა, იაპონიამ ეს დიდი ხნის წინ გაიარა. სწორედ ამიტომ მივიჩნევ, რომ დასავლური ქვეყნები ახლა იაპონიზაციას განიცდიან. მაგალითად შეიძლება მოვიყვანო მანგა. არაიაპონელები ჯერ კარგად ვერ აანალიზებენ ამ სიახლეს. ეს არ არის მხოლოდ სურათები და ისტორია. მანგა ლიტერატურის ახალი ჟანრია, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი მთელ მსოფლიოში. მე ვთვლი, რომ მანგა 21-ე საუკუნის ავანგარდული ხელოვნებაა, ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც თანამედროვე პოეზია, თეატრი და სხვ. დღეს იაპონიიდან ძალიან ბევრი რამ შემოდის დასავლურ კულტურასა და ცივილიზაციაში და სწორედ ეს მაძლევს იმის საფუძველს, მოვიჩნიო, რომ მსოფლიო იაპონიზებულია.

— თქვენ გვესაუბრეთ იაპონიის წარსულსა და რელიგიის ისტორიაზე იაპონიაში. როგორ აისახა 250-წლიანი იზოლაცია იაპონელი ერის ფორმირების პროცესზე? რა არის იზოლაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

— იზოლაციის პოზიტიური ასპექტი სტაბილურობაა და ასევე განსაკუთრებული ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა იყოს ადამიანი ბედნიერი. ხელოვნება იაპონიაში არ ნიშნავს გენიოსების და დიდოსტატების მიერ შექმნილ ნამუშევრებს. იაპონური ხელოვნება ჩვეულებრივი ხალხის შემოქმედების პროდუქტია. ასეთია იკებანა — ყვავილების შეკონვის ხელოვნება; ასეთია სადო — ჩაის ცერემონია; ასეთია ძიუდო — საბრძოლო ხელოვნება და სხვა. ეს ყოველივე სწორედ იზოლაციის შედეგია. კუნძულებზე ჩაკეტილი, ერთადერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ხელოვნების მეშვეობით აფართოებდნენ თავიანთ თვალსაწიერს. მრავალწლიანი იზოლაციის ნეგატიური ასპექტი კი ისაა, რომ ეს ხელოვნება არ გასცილებია იაპონიის კუნძულებს. ეს რომ მომხდარიყო, იაპონური ხელოვნება და ზოგადად კულტურა ისეთი საყოველთაო ფასეულობების დარი იქნებოდა, როგორიცაა, მაგალითად, დემოკრატია, თანასწორობა ან კეთილდღეობა, რომლებიც, დასავლური ცივილიზაციების მიერაა შექმნილი. მაგრამ იაპონური კულტურა ძალიან არის შერწყმული იაპონიის თვითმყოფადობასთან, მის ბუნებასთან და უაღრესად ინდივიდუალურია. ის ვერ გახდებოდა და ვერ გახდება საყოველთაო. მაგრამ გლობალიზაციის შედეგად, დღეს ბევრი ჩამოდის იაპონიაში, იაპონური კულტურა გადის კუნძულების გარეთ, და ახლა უკვე მეტი შესაძლებლობაა იმისა, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს ჩვენი კულტურული მონაპოვარი. თავის დროზე ჩვენ ბევრი მივიღეთ ჩინეთიდან თუ დასავლეთ ევროპიდან, ახლა კი დადგა დრო, სხვებს გავუზიაროთ ის, რაც გვაქვს.

— რამ განაპირობა ამ თემებზე ლექციის წაკითხვის საჭიროება სწორედ ახლა და სწორედ საქართველოში?

— ეს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება იყო. მიწისძვრის შემდეგ იაპონია ყურადღების ცენტრში მოექცა. ამან გააჩინა საჭიროება, რომ უფრო ახლოს გაგვეცნო სხვა ქვეყნებისთვის იაპონია და იაპონელები. ჩემთვის ამ თემებზე საუბარი ძალიან კარგი შესაძლებლობაა, ჩავუღრმავდე იაპონიას. მე ვსწავლობდი საფრანგეთში, შემდეგ ბრიტანეთში და ვთვლიდი, რომ იაპონია არცთუ ისე განსხვავებულია სხვა ქვეყნებისგან, თუმცა ახლახან მივხვდი, რომ ეს ასე არაა. და ისევ რიგითი ადამიანების აღქმას, ასე ვთქვათ, კლიშეს დავეთანხმები და ვიტყვი, რომ იაპონია მართლაც უნიკალური ქვეყანაა. პენსიაზე გასვლის შემდგომ, მარტიდან მოყოლებული, მე რამდენიმე ასეთი ლექცია ჩავატარე იაპონიასა და ჩინეთში. იაპონიისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა იაპონური ეკონომიკური ბუმის პერიოდში. ბოლო ხანებში წინ ჩინეთი წამოვიდა და საყოველთაო ინტერესმა ახლა ჩინელებისკენ გადაინაცვლა. ასეთი გამოთქმაც კი გაჩნდა დასავლურ საზოგადოებაში: „იაპონიის დრო გადის“. ასეთ ფონზე ჩემთვის ძალიან საპატიოა და სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია წარვუდგინო იაპონია სხვა ქვეყნებს. სადღეისოდ ისევ იზრდება ინტერესი ჩვენს მიმართ, არის იაპონიის ახალი ბუმიც მისი პოპ კულტურის სახით და ჩვენთვის აუცილებელია ამ ყველაფრის გამოყენება ქვეყნის პოპულარიზაციისათვის. რატომ საქართველო? როგორც მოგახსენეთ, ეს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით მოხდა. ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ მომეცა საშუალება ქართული საზოგადოებისთვის წარმომედგინა ჩემი ქვეყანა. სამწუხაროდ, საქართველოზე ბევრი არაფერი ვიცი, მხოლოდ 12 საათია, რაც ჩამოვფრინდი.

* * *

(ჩვენ ინტერვიუს ესწრებოდა საქართველოში იაპონიის საელჩოს კულტურის ატაშე, ბატონი ნორიჰიკო ნაკამურა. სწორედ მან გვიპასუხა შეკითხვაზე, თუ რატომ აირჩია იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველო).

— წელს ჩვენ იუბილე გვაქვს, საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 3 აგვისტოს დამყარდა და 2012-ში 20 წლისთავს ვზეიმობთ. სწორედ ამან განაპირობა პროფესორ ფუნაბიკის საქართველოში ჩამოსვლა, — *გვითხრა მან.*

* * *

— ცნობილია, რომ იაპონელები ემოციებს ნაკლებად გამოხატავენ, რაც ისევ და ისევ მათ ტრადიციებსა და რელიგიას უკავშირდება. როგორია იაპონელებისთვის სხვა ეროვნების ხალხი? გაქვთ თუ არა რაიმე განსაკუთრებული სირთულეები სხვა ხალხებთან ურთიერთობისას?

— იაპონელთა აზროვნება განსხვავებული არ არის სხვა ხალხთა აზროვნებისაგან. განსხვავებულია გამოხატვის ფორმა. რეალურად გამოხატვაზე უფრო მნიშვნელოვანი გაგებაა. იაპონიაში გაცილებით მნიშვნელოვანია, სწორად გაუგო თანამოსაუბრეს, ვიდრე ის, თუ რას ამბობ შენ თავად. როდესაც ორი იაპონელი საუბრობს, ორივე ცდილობს, ამოიცნოს და მიხვდეს, რის თქმას აპირებს მისი თანამოსაუბრე. თუ მე და თქვენ წინასწარ სწორად ამოვიცანით ერთმანეთის სათქმელი, მაშინ გამოხატვის მნიშვნელობა კლებულობს და ბევრი ლაპარაკი აღარ არის საჭირო. კომუნიკაციის ამ ტექნიკაზე ვარჯიში, ჩემი დაკვირვებით და არა კვლევების მიხედვით, გოგონებში 10 წლიდან იწყება, ბიჭების შემთხვევაში კი უფრო გვიან — 11-12 წლის ასაკში. ამ ასაკში ისინი უკვე ცდილობენ, არ დაუშვან სულელური შეცდომები სულელური კითხვის დასმით. უცხოელებთან ურთიერთობისას კომუნიკაციის ამგვარი ფორმა ნაკლებად მუშაობს, ამიტომ ითვლება, რომ იაპონელებთან კომუნიკაცია ხანდახან საკმაოდ რთულია. როდესაც უცხოელები და იაპონელები ერთ მაგიდას უსხედან, სანამ ჩვენ პირს გავაღებთ, უცხოელი ლაპარაკს იწყებს და სანამ ჩვენ გავიაზრებთ მის ნათქვამს და რამის თქმას დავაპირებთ, საუბრის თემა უკვე შეცვლილია!.. საბოლოოდ კი შეიძლება ისე მოხდეს, იაპონელმა ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხოს. თუმცა, ახლა ეს ტენდენცია ცოტათი იცვლება. ჩემ უნივერსიტეტშიც, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა იაპონიაში, ასე ხდება. სტუდენტები არ ლაპარაკობენ, არ გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს. არავის უნდა, დასვას კითხვა და, მით უმეტეს, იყოს პირველი. საკუთარი აზრის არგამოხატვა და იმაზე ფიქრი, თუ რას ფიქრობს სხვა, იაპონური მენტალობის საკმაოდ ნეგატიური მხარეა. რატომ ნეგატიური?! იმიტომ, რომ არ არის კრეატიული. ესეც იზოლაციისგან გამოწვეული ნეგატიური ასპექტია.

— საქართველოს გარდა კიდევ სად აპირებთ ამ ლექციის წაკითხვას და რა კრიტერიუმებით შეირჩა ეს ქვეყნები?

— საქართველოში მხოლოდ სამ დღეს დავრჩები. რადგან საქართველოსთან გეოგრაფიულად ახლოსაა აზერბაიჯანი და თურქეთი, ლექციას სწორედ ამ ორ ქვეყანაში წავიკითხავ. ორი ლექცია მექნება აზერბაიჯანში და ოთხი თურქეთში. ასე დასრულდება ჩემი 11-დღიანი მოგზაურობა ამ რეგიონში და კვლავ იაპონიაში დავბრუნდები.

* * *

ინტერვიუ უკვე მომზადებული იყო დასაბეჭდად, როდესაც პროფესორმა ფუნაბიკიმ კიდევ ერთი ლექცია გამართა, ამჯერად — თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში და აუდიტორიის დიდი ინტერესიც გამოიწვია. იმედია, ჩვენ მეზობელ ქვეყნებშიც ასეთივე წარმატებით ჩაივლის იაპონიის გაცნობის პროცესი.

იაპონიის საელჩო საქართველოში კი აგრძელებს საიუბილეო ღონისძიებებს და „იაპონური შემოდგომის“ ფარგლებში კიდევ რამდენიმე სასიამოვნო დღეს გვაჩუქებს:

9 ნოემბერს კინოთეატრ „რუსთაველში“ იაპონური კინოს ფესტივალი გაიხსნება, რომელიც 11 ნოემბრამდე გასტანს. 17 ნოემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაგეგმილია ქართველ და იაპონელ მორაგბეთა ამხანაგური მატჩი. 23 ნოემბერს კი იაპონური დოლების — „ვადაიკოს“ კონცერტი გაიმართება, რომელსაც ამერიკაში დაბადებული სახელგანთქმული იაპონელის ლეონარდ ეტოს ანსამბლი წარმოგვიდგენს. კონცერტი გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართება და დასწრება თავისუფალი იქნება.

თეონა ნაცვლიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ფილოსოფოსის თვალით

მეოჯე ქათამი...

დიდი უცნაური და შეუცნობელი სუბიექტები გახლავან ეს ჩვენი ეგრეთ წოდებული ფილოსოფოსები თუ მოფილოსოფოსო სოციალური ექსპერტები. ისინი ხშირად იმ საგნებსა და მოვლენებზე, რომლებსაც ჩვენ ყოველდღიურად გაფართოებული თვალებით შევცქერით, დაგიწყებენ მტკიცებას – ისინი რეალურად არ არსებობენ, ან არსებობენ, მაგრამ ჩვენ ვერ აღვიქვამთ და ამდენად ვერცა ვხედავთო. რადგან ვერ აღიქვამენ და ვერცა ხედავენ, დასკვნაც შესაფერისი გამოაქვთ – არ ვიცით, რაზე გველაპარაკებით, ბატონებო, დაგვარწმუნეთ, რომ მართლები ხართ და ხელაწეულები ჩაგბარდებითო.

ვის ვგულისხმობ? აი თუნდაც სატელევიზიო დებატებში ჭეშმარიტების საძებნელად ნიადაგ ჩაყურყუმელავებულ და სახეზე ერთთავად ღიმილდაფენილ ექსპერტ გია ნოდიას, რომელიც თავის გამოცანა აზრებითა და სიღრმისეული ფილოსოფიური წიაღსვლებით მსმენელს ანდამატივით იზიდავაჯადოებს და არც თუ იშვიათად განაცვიფრებს კიდეც.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, აუწონავ-აუწყავია დაინტერესება პოლიტიკური თოქშოუების წამყვანი ჟურნალისტებისა, რომლებიც კითხვებს აქეთ-იქიდან სეტყვასავით აყრიან ჭარბად მოაზროვნე ფილოსოფოსს.

– ბატონო გია, გადაცემის დამთავრებამდე რამდენიმე წუთიღა დარჩა, – საყვედურობს ექსპერტს ქერათმიანი წამყვანი ქალბატონი, – და მაინც ვერ გავიგე თქვენი აზრი. იქნებ გვითხრათ, ბოლოს და ბოლოს არჩევნებში დამარცხდა თუ არა ნაცმოძრაობა?

– ძნელი სათქმელია, – ღერღავს კბილებში ფილოსოფოსი, – გააჩნია რეალობა ვის როგორ ეჩვენება, შეიძლება დამარცხდა კიდეც და შეიძლება არც დამარცხდა.

– როგორ ბატონო, მთელმა მსოფლიომ აღიარა არჩევნებში ნაცების დამარცხება და ამ ამბავმა თქვენამდე ვეღარ მოაღწია?

– მსოფლიო აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ნაცმოძრაობა დამარცხდა (ტუჩებში მრავალმნიშვნელოვნად ეღიმება). ვთქვათ, დამარცხდა, მაშინ ხომ უნდა არსებობდეს გამარჯვებულიც.

– არსებობს კიდეც – კოალიცია „ქართული ოცნება!“ ხალხმა რომ არჩევნებში გაიმარჯვა, განა ეს კიდევ სადავოა?

– აი, ხომ ხედავთ, – წელში სწორდება ფილოსოფოსი, – თქვენ თვითონვე არა ხართ დარწმუნებული ნაცების დამარცხებაში, ხან ამბობთ, „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვაო, ხან კიდევ – ხალხმაო. რომელი დავიჯერო? ვიდრე პირადად არ დავრწმუნდები „მეოცნებეთა“ გამარჯვებაში, გადაწყვეტილად ვერაფერს ვიტყვი.

– რადგან ნაცმოძის მარცხისა არა გჯერათ, იქნებ ის მაინც გვითხრათ, მთელი ამ 9 წლის მანძილზე, რაც ისინი მართავდნენ ქვეყანას, შეცდომები მაინც არ დაუშვიათ?

– როგორ არ დაუშვიათ. ჩემი დაკვირვებით, მათი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ზედმეტად დემოკრატიულები იყვნენ.

– რა მიგაჩნიათ „ზედმეტ დემოკრატიად“. ის, რაც სასამართლოებში, პროკურატურებში, ციხეებსა და სკოლებში ხდებოდა? სხვა თუ არაფერი, ის მაინც არ გახსოვთ, წინასაარჩევნო პერიოდში „სხაგვარად მოაზროვნეებს“ ცემა-ტყეპით საპატიმროებში რომ ერეკებოდნენ, ხოლო დეპუტატობის კანდიდატებს ხალხთან შეხვედრისას ქვების სროლით ისტუმრებდნენ?

– როგორ არა, კახი კალაძეს რომ ქვები დაუშინეს, მათ ფაქტზე (ფაქტს მე ყოველთვის ვაღიარებ) აკი სასამართლომაც იმსჯელა.

– მერედა ვინ დაადანაშაულეს? ისევ ისინი დაიჭირეს, ვისაც თავები გატეხილი ჰქონდათ.

– სხვანაირად მოსამართლე ვერც მოიქცეოდა. ქვების მსროლელს, ჩემო კარგო, მოსამართლე ვერაფრით მიაგნებდა, გატეხილი თავები კი თავისთავად მოიცავდა იმის ნივთმტკიცებას, რომ ეს უკანასკნელნი მასობრივ არეულობაში უეჭველად მონაწილეობდნენ(!).

– ჰო, – დაუდასტურა თოქშოუს წამყვანმა, – ნაცებს რომ დემაგოგიის დიდი ნიჭი აქვთ, ამას დღეს ყველა აღიარებს.

– არ გედავებით, – დაეთანხმა გამარჯვებულის რიხით ფილოსოფოსი, – დემაგოგია ოდითგანვე პოლიტიკოსთა ჰობია და ამას ვერც ქართველები გაექცევით. ამიტომ, ვფიქრობ, არ ღირს „ნაცმოელები“ და „მეოცნებეები“ ერთმანეთს შევაჯიბროთ, რათა გავიგოთ, მათგან რომელი უფრო მეტი დემაგოგია.

ვერაფერს იტყვი, დემაგოგიის მხრივ ნაცმოელებს ისეთი აშკარა უპირატესობა აქვთ, რომ ფილოსოფოს ექსპერტს ვერასგზით გამოედავები. რაც შეეხება თავად გია ნოდიას დემაგოგიას, ამან ჩემდაუნებურად ძველად ხალხში გავრცელებული ერთი ანეკდოტური ამბავი გამახსენა: თურმე ერთი სტუდენტი, რომელიც ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა, სოფელში არდადეგებზე ჩასული მამამისს უმტკიცებდა, ეს მრგვალად მოხარშული ქათამი, რომელიც დედაჩემმა ეს-ეს არის სუფრაზე მოგვართვა, ერთი კი არა, ფაქტობრივად, ორიაო. დაეჭვებულმა მამამ შვილს თვალი გაუსწორა და უთხრა: – აბა კარგად დააკვირდი, მართლა ორია თუ გეჩვენებაო. არა, ნამდვილად ორიაო. მაშინ ჩემო ფილოსოფოსო ვაუკაცო, მე ამ ქათამს გეახლები, შენთვის კი მეორე დამითმიაო.

როგორც ჩანს, ჩვენს ფილოსოფოს ექსპერტსაც (გია ნოდიაზე მოგახსენებთ) თუ ჭკუაზე არ მობრძანდა, დემაგოგიაში გამარჯვებულ ნაცებთან ერთად, იმ „მეორე ქათმის“ შეხრამუნება მოუწევს.

ოტია ჩართოლანი

◎ მეცნიერული მონაპოვარი

საერისკაცო ვალი მოიხადეს

ქართველი ხალხის ემპირიული კულტურის ლექსიკოლოგიური საგანძური

ძართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი აკად. გიორგი ჩიტაია, თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ფიქრობდა, რომ დარგისთვის ბევრი რამ დაუმთავრებელი დარჩა. პირველი რიგის ამოცანად კოლექტიური ნაშრომების გამოცემებს თვლიდა, როგორებიცაა, „ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“, „ეთნოგრაფიული ლექსიკონი“, „ქართული ეთნოგრაფიის ბიბლიოგრაფია“ და ა.შ. მართალია, ამ ამოცანის განხორციელება ვეღარ მოასწრო, მაგრამ გაყვა რწმენა იმ მიზნის გამარჯვებისა, რომელსაც მთელი ცხოვრება შესწირა და თავისი აღზრდილების ერთგულების იმედი.

გ. ჩიტაიას გარდაცვალებიდან 26 წლის შემდეგ, მისი სურვილების აღსრულების მოწმენი გავხდით. ჯერ ბ-ნ გიორგის ერთგული მოწაფის პროფ. ჯულიეტა რუხაძის ხელმძღვანელობით, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით გამოდის „ქართული ეთნოგრაფიის ბიბლიოგრაფია“. შემდეგ, დაახლოებით ათეული წლის შრომის შედეგად საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის დეპარტამენტმა გამოსცა **„ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“** (608 გვ.) 2086 ტერმინით. ორივე ნაშრომი გ. ჩიტაიას ხსოვნას მიეძღვნა. ეთნოგრაფთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა ამით მიაგო მისაგებელი თავის მოძღვარსა და მასწავლებელს.

ქართველმა საზოგადოებამ მიიღო „ეთნოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც ყურადღებას იპყრობს შინაარსის სიახლით, აღნაგობითა და მდიდარი საილუსტრაციო მასალით. იგი ქართველი ხალხის ემპირიული კულტურის ვრცელი ტერმინოლოგიური ცნობარია, სადაც თავი მოიყარა მატერიალური კულტურის დარგში მიღწეულმა შედეგებმა და ასახა ქართველი კაცის მიერ საუკუნეების მანძილზე წარმოებული კულტურული ნაღვაწის სპეციფიკა. პირველად ეთნოლოგიურ ლიტერატურაში, თითოეული ეთნოგრაფიული ექსპონატი ნაჩვენებია ვიზუალურად და ახსნილია დინამიკაში, ცალკეული კულტურის ელემენტის წარმოშობისა და გავრცელების გზის ჩვენებით. ტექსტების მთავარი ღირსება მისი კომპლექსურობაა, რაც ყოფითი მოვლენების მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ერთობლიობაში ვლინდება და წარმოაჩენს ეთნოგრაფიული ნივთის როლსა და ადგილს ხალხის ცხოვრებაში. ამ მიმართებით, ლექსიკონი ენციკლოპედიურ ხასიათსაც ატარებს.

ნაშრომს ეკისრება შემეცნებითი, საერთო-საგანმანათლებლო და სასწავლო მნიშვნელობა, მაგრამ მისი ღირებულება უფრო შორს მიდის. მსოფლიოს გლობალიზაციის პერიოდში, როცა ყველა ქვეყანა ცდილობს სრულყოფილად წარმოაჩინოს თავისი ეთნოკულტურული მემკვიდრეობა, ეთნოგრაფიული ლექსიკონიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. იგი ქართველი ხალხის ემპირიული მიღწევების წარმოჩენით ცხადყოფს საქართველოს როლსა და ადგილს მსოფლიოს ხალხთა ცივილიზაციაში.

ეთნოგრაფიულ ტერმინთა თავმოყრისა და თანამედროვე მეცნიერების დონეზე ახსნის რთული ამოცანა შეასრულა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის დეპარტამენტის პროფესიონალმა ეთნოგრაფებმა. ცალკე უნდა შევეხოთ პროექტის ავტორსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. ელდარ ნადირაძეს. იგი ქართველ ეთნოგრაფთა საშუალო თაობის წამომადგენელია, რომელმაც თავისი ნიჭით, ცოდნით, შრომისმოყვარეობითა და კაცურკაცობით დიდი დაფასება მოიპოვა. იგი მრავალი აღიარებული ნაშრომის ავტორია, მაგრამ ეთნოგრაფიული ლექსიკონის იდეის განხორციელება მისი შემოქმედების მწვერვალად მიმაჩნია. ბატონმა ელდარმა შეძლო ერთ მუშტად შეეკრა კოლექტივი. ტიტანური შრომის ფასად დაამუშავეს ეთნოგრაფიული ტერმინოლოგია და ამავე დროს საველე მუშაობისას ავსებდნენ თეთრ ლაქებს. ამით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, ქართული ეთნოგრაფიის საძირკველში კიდევ ერთი აგური ჩაიდო. გავა წლები და მისი მნიშვნელობა უფრო ცხადი გახდება, რადგან თანამედროვეობაში ქართველი ხალხის ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებას საფუძველი ეცლება და ამდენად, მისი შესატყვისი ტერმინოლოგიაც დავიწყებას მიეცემა.

ვულოცავ ჩემს კოლეგებს, ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფთა შესანიშნავ კოლექტივს. მათ არა მარტო მოიხადეს საერისკაცო ვალი, ეროვნულ მუზეუმში უნიკალური და იშვიათი ექსპონატების დაუნჯებითა და შენახვით, არამედ შექმნეს მსოფლიოში არც თუ ისე ფართოდ გავრცელებული ეთნოგრაფიული ლექსიკონი და სათანადოდ წარმოაჩინეს ქართველი ხალხის თვითმყოფი კულტურა.

დღეს, XXI საუკუნის ეთნოლოგების განკარგულებაშია მნიშვნელოვანი მეცნიერული მონაპოვარი, რომელიც თანამედროვე ინტენსიური მუშაობის ბაზა და ხვალინდელი წარმატებების საწინდარია.

ამავე დროს მადლიერება იმ მეცენატებს, რომელნიც მხარში ამოუდგნენ ავტორთა კოლექტივს და ამით უდიდესი მხარდაჭერა გამოუცხადეს ეროვნულ მეცნიერებას.

თამილა ცაგარეიშვილი,
პროფესორი, ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

◎ ალიან-ჩალიანი

კლინიკის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებას ითხოვენ

ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ხელისუფლებას კლინიკის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებას სთხოვენ.

აღნიშნული მოთხოვნით და წერილობითი განცხადებით მედპერსონალმა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს მთავრობას მიმართა. მათი ინფორმაციით, ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი 3 მილიონ დოლარად გაიყიდა. სამი ჰექტარი მიწის ფართობი და შენობა- ნაგებობები კანადურმა კომპანიამ შეიძინა, რომლის მფლობელიც ჩინელი ვინტერ ჰუანგია. ცენტრი 2010 წელს გაიყიდა, შენობის ნაწილში სარემონტო სამუშაოები უკვე დაწყებულია, რომლებსაც ჩინელი მუშები ასრულებენ. როგორც ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები აცხადებენ, ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებას 5 წლით უნდა შეუნარჩუნდეს პროფილი, თუმცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული არ არის, რომ პროფილის შენარჩუნება ონკოლოგიის კუთხით უნდა მოხდეს.

პროფესორ თენგიზ ჩარკვიანის განცხადებით, ონკოლოგიის ეროვნულ ცენტრს ფუნქცია დღესდღეობით დაკარგული აქვს, რადგან მოიშალა ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორიცაა ექიმთა დახელოვნების და გადამზადების სისტემა, სტუდენტთა პრაქტიკული აღზრდის, უცხოელი დოქტორანტების და საერთოდ, სადოქტრო თემებზე მუშაობის პრაქტიკა. მედპერსონალს პაციენტებზე ზრუნვა და მკურნალობა რთულ პირობებში უწევთ და ონკოლოგიის ცენტრში სამედიცინო სამეცნიერო საქმიანობა აღარ ხდება.

ქართველი ონკოლოგების განცხადებით, ევროპაში საქართველოს ონკოლოგიურ ცენტრს მოწინავე პოზიციები ეკავა და მნიშვნელოვან განაცხადს აკეთებდა სამედიცინო სფეროში. დღეს კი აღნიშნული სისტემა განადგურების პირასაა, ამიტომ ხელისუფლებამ ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი სახელმწიფო მფარველობის ქვეშ უნდა დაიბრუნოს, რათა საქართველოში ონკოლოგიური მკურნალობის განვითარებას პერსპექტივა გაუჩნდეს.

როგორც ექიმები აცხადებენ, ყოველწლიურად საქართველოში დაახლოებით 8 000 ადამიანი ავადდება სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადებებით. ონკოლოგიურ მკურნალობაში კი მნიშვნელოვანია ნაადრევი დიაგნოსტიკა, პრევენცია და პროფილაქტიკა, რაც არსებულ პირობებში არ არსებობს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საакაშვილი ტელევიზიებზე კონტროლს კარგავს

ოქტომბრის დასაწყისში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაკარგა კონტროლი საქართველოს პარლამენტზე, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა – კონტროლი ქვეყნის მაუწყებლებზე. ქვეყანაში, სადაც 24 საათის განმავლობაში უყურებენ ტელევიზორს, ეს ფაქტი საინფორმაციო მაუწყებლობის მკვეთრ ცვლილებას ნიშნავს.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში ივანიშვილის კოალიციასთან, „ქართულ ოცნებასთან“ ხმების თითქმის 15 პროცენტი წააგო, რამაც საქართველოს საინფორმაციო ინდუსტრიაში გადატრიალება გამოიწვია. ტელეკომპანიების მფლობელებს, მმართველებს და ჟურნალისტებს ახალ პოლიტიკურ რეალობასთან შეგუება უწევთ.

საინფორმაციო არხები, რომლებიც სააკაშვილს მწარედ აკრიტიკებდნენ და მარგინალიზებული იყვნენ, ახლა ამბობენ, რომ მეტი მაყურებელი და სარეკლამო შემოსავალი გაუჩნდათ. ბიძინა ივანიშვილი ისევ დგას ქართული არხების უკან, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ამბის ყველა ასპექტის გაგება გსურთ, საუკეთესო გზა ამისთვის ისევ არხიდან არხზე სირბილია.

არჩევნების შემდეგ სამი ნაციონალური მაუწყებლიდან (კერძო კომპანიები „რუსთავი 2“, „იმედი“ და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი), მხოლოდ ერთი, ყველაზე დიდი ტელეკომპანია „რუსთავი 2“ გამოიყურება კვლავინდებურად სააკაშვილის ბანაკის მტკიცე მოკავშირედ. „იმედისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის პოსტ-საარჩევნო ტრაექტორია ნაკლებად ცხადია.

არჩევნებამდე „იმედი“ თვალშისაცემად პროსამთავრობო იყო. მაგრამ ახლა არხი 2 დოლარზე ნაკლებად დაუბრუნდა ინა გუდავაძეს, ყოფილი მფლობელის, ბადრი პატარკაციშვილის, სააკაშვილის ცნობილი ოპონენტის ქვრივს, ოპონენტისა, რომელიც 2008 წლის იანვარში პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობდა. გუდავაძემ კონტროლი არხზე მისი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, იმავე წელს დაკარგა.

ინტერვიუში, რომელიც ყოველკვირეულ გამოცემას, „ლიბერალს“ მისცა, გუდავაძემ განაცხადა, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მას დაურეკა პიროვნებამ, რომელიც არ დასახელებულა და რომელიც საკუთრებასთან დაკავშირებულ ბრძოლაში იყო ჩართული. ამ ადამიანმა მას „იმედის“ დაბრუნება შესთავაზა. შეთავაზების მიზეზები არ გაცხადებულა. EurasiaNet.org-მა ამ სტატიის პუბლიკაციის მომენტისათვის გუდავაძესთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

ამავე დროს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბედი, რომელიც დიდი ხანია წარმოადგენს ოპოზიციის კრიტიკის ობიექტს, გაურკვეველია. კანონით ორივეს – ივანიშვილის კოალიციას „ქართულ ოცნებასაც“ და პრეზიდენტ სააკაშვილსაც – სიტყვა ეთქმით ამ ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს ჩამოყალიბების პროცესში.

ისე ჩანს, რომ არხი ემზადება გარკვეული სახის ტრანსფორმაციისთვის. პროგრამის რეფორმირება მოიცავს რუსულენოვანი სატელიტური და საკაბელო საინფორმაციო არხის პიკ-ის დახურვას. ამ არხს უკვე დიდი ხანია ივანიშვილის მხარდამჭერები საакაშვილის PR ინსტრუმენტად მიიჩნევენ. პიკ-ის მაუწყებლობა აღიზიანებდა კრემლს, ხოლო „ქართული ოცნების“ მთავრობამ რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორება პრიორიტეტად დაასახელა.

მაგრამ საბოლოოდ ქართული მედიის პოსტ-საარჩევნო სიჯანსაღე შეიძლება ფინანსურად ყველაზე გამძლე არხის გადარჩენამდე დავიდეს.

ქართული სარეკლამო ბაზრის მასშტაბები (450 მილიონი) – „არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ძალიან ბევრი (არსებული) ტელევიზია შეინახოს“ და ყველაზე დიდ ტელევიზიებს მოგება ვერ მოაქვთ“, აცხადებს მათიას ჰუტერი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, ანტიკორუფციული ორგანიზაციის თანამშრომელი.

არჩევნებამდე სარეკლამო შემოსავლების 70 პროცენტი პროსამთავრობო ნაციონალურ არხებზე – „რუსთავი – 2-სა“ და „იმედზე“ – მიდიოდა“, აღნიშნა ჰუტერმა, მაგრამ დღეს ივანიშვილის მომხრე ტელეკომპანიები ამბობენ, რომ მათი სარეკლამო შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა. მათ შორის მთავარია ტვ 9, თანამგზავრული და საკაბელო საინფორმაციო არხი, რომელსაც პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე ფლობს.

ტვ 9-მ მნიშვნელოვანი, შესაძლოა მთავარი როლი შეასრულოს იმაში, რომ სააკაშვილის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში უმრავლესობა აღარა აქვს, რადგან საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას არხი ალტერნატიულ ინფორმაციას აწვდიდა მაყურებელს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ტვ9 იყო პირველი ტელეკომპანია, რომელმაც ქართულ ციხეებში სასტიკი წამების ამსახველი ვიდეომასალა გადასცა. ითვლება, რომ არჩევნების მიჯნაზე ამ კადრების ჩვენებამ ღრმად იმოქმედა საზოგადოებრივ აზრზე.

ივანიშვილის ოჯახი მხოლოს ტვ9-ს როდი ფლობს. მათ ეკუთვნით აგრეთვე მისი ონლაინ განშტოება ინფო 9, ასევე აქციები რეგიონალურ ტელეკომპანიაში „თრიალეთი“ და საკაბელო და თანამგზავრულ პროვაიდერ კომპანიაში „გლობალ ტვ“. ქართული კანონმდებლობით, სამაუწყებლო კომპანიებში აქციების ფლობა საჯარო პირებს ეკრძალებათ, თუმცა არ ეკრძალება მათ ახლო ნათესავებს.

ტვ9-ს აღმასრულებელი დირექტორი კახა ბექაური აღიარებს, რომ შესაძლოა, არხის რეპორტიორები უფრთხიან ივანიშვილის გაბრაზებას, მაგრამ ამტკიცებს რომ ის, თუ ვინ არის არხის მფლობელი, ვერ განსაზღვრავს არხის საინფორმაციო პოლიტიკას. „დამოუკიდებელი ტელევიზია, უწინარეს ყოვლისა, ფინანსურადაც დამოუკიდებელი უნდა იყოს“, განაცხადა მან. გაზრდილი სარეკლამო კონტრაქტების წყალობით, ბექაური ელის, რომ წელიწადნახევარში არხი მასში დაბანდებული ფინანსების კომპენსირებასა და მოგების მიღებას შეძლებს.

მაგრამ ტვ9 არ არის ერთადერთი ისეთი ახალბედა კომპანია, რომლის უკანაც დიდი ფულია. ქართული პოლიტიკური სასწორის მეორე მხარეს დგას თამარ ჩერგოლეიშვილის, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ცოლისა და ლიბერტარიანული ყოველკვირეული გამოცემის „ტაბულას“ რედაქტორის ტელევიზია. ამ არხს კახა ბენდუქიძე აფინანსებს, მილიონერი ბიზნესმენი, რომელიც სააკაშვილის ახლობელია.

თავის პარტნიორებთან, ძირითადად სააკაშვილის მომხრეებთან ერთად, ჩერგოლეიშვილი მაყურებლისთვის „ხარისხიანი ხალხის ხარისხიანი დებატების“ შეთავაზებას გეგმავს, ისეთი დებატებისა, რომელიც „ფოქს ნიუსის“ თოქ-შოუს „ხუთის“ მსგავსი იქნება. დისკუსიები გაიმართება ისეთ თემებზე, როგორიცაა თავისუფალი ბაზარი და პირადი თავისუფლება. ამ თემებს, ჩერგოლეიშვილის აზრით, ქართული მედია ადეკვატურად არ აშუქებს.

განცალკევებით დგას ორი ტელეკომპანია – „მაესტრო“ და „კავკასია“, რომელთაც დამოუკიდებელი მფლობელები ყავთ. როგორც ცნობილია, ამ ორ თბილისურ კომპანიას 2011 წლის შემოსავლების 67 („მაესტრო“) და 37 („კავკასია“) პროცენტი ივანიშვილის კოალიციის, „ქართული ოცნების“ რეკლამიდან აქვთ მიღებული. მათ ახლა უნდა დაამტკიცონ, რომ შეძლებენ ისეთივე კრიტიკულები იყვნენ ივანიშვილის მთავრობისადმი, როგორიც იყვნენ სააკაშვილის ელიტისადმი.

გიორგი ლომსაძე,
რადიო „თავისუფლება“

სააკაშვილის ფონდი და საქართველოს უშიშროების ხარჯები მკვეთრად მცირდება

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სარეზერვო ფონდი 2013 წლის ბიუჯეტის პროექტით, რომლის განხილვაც ამ კვირაში პარლამენტის კომიტეტებში დაიწყება, მცირდება ხუთჯერ და შეადგენს 10 მილიონ ლარს (დაახლოებით 6 მილიონი დოლარი), გვაცნობებს სამშაბათს ფინანსთა სამინისტროში.

მთავრობის ანალოგიური ფონდი უცვლელი რჩება – 50 მილიონი ლარი.

მცირდება პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსება. მისთვის გათვალისწინებული იყო 14 მილიონ 140 ათასი ლარის (8,5 დოლარი) გამოყოფა, გამოიყოფა 5,5 მილიონი დოლარი. რაც შეეხება საქართველოს უშიშროების სამსახურის შენახვის ხარჯებს, მისთვის გამოიყოფა 1 მილიონ 800 ათასი ლარი (1,09 მილიონი დოლარი).

წინა ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა უშიშროების ეროვნული სამსახურისთვის 2013 წელს გამოეყო 24 მილიონ 784 ათასი ლარი (14,5 მილიონი დოლარი).

ახალი ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული „ეროვნული უშიშროების პოლიტიკის ღონისძიებანი“ უშიშროების ეროვნული საბჭოსთვის, რომელსაც სათავეში უდგას სააკაშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი გიგა ბოკერია.

ადრე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მოუწოდა სააკაშვილს, დატოვოს სასახლე-რეზიდენცია ავლაბრის რაიონში, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ კი განაცხადა, რომ აღარ დააფინანსებენ პრეზიდენტის თვითმფრინავს.

ამავე დროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დაგვპირდა, რომ მიხეილ სააკაშვილის გამოსახლება მისი სასახლე-რეზიდენციიდან მოხდება „ცივილიზებული მეთოდებით“. „არავინ არ შეიჭრება იქ და არც სასახლეს ესვრიან კურდღლებსა და სტაფილოებს, როგორც ეს 2009 წელს იყო“, – თქვა მან ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში. „სააკაშვილის დაფინანსება მოხდება ბიუჯეტიდან გონივრულ ფარგლებში“, – თქვა მან.

სასახლეზე რამდენიმე არქიტექტორი მუშაობდა, პროექტის ავტორია გიორგი ბათიაშვილი, თუმცა, შენობა დაასრულა იტალიელმა მიქელე დე ლუკიმ. სასახლე შენდებოდა 2004-2009 წლებში. რეზიდენციის თაღი შედგება 12 ტყვიაგაუმტარი ოთხკუთხედი მინის ფრაგმენტებისგან. ტყვიაგაუმტარი მინის მიღმა ხშირად უმზერდნენ ხოლმე სააკაშვილს აივანზე ფიზიკური ვარჯიშის დროს. ამ აივნიდან ქვემოთ მოჩანს მთელი თბილისი.

ადრე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სასახლე შეიძლება გახდეს სასტუმრო. „ავლაბრის რეზიდენცია სავსებით შეიძლება გადაკეთდეს სასტუმროდ, ეს საინტერესო ადგილია კარგი ხედით, ეს თბილისის ისტორიული ცენტრია“, – განაცხადა ხადურმა. იმის შესახებ, რომ ეს სასახლე აღარ იქნება სააკაშვილის რეზიდენცია, გადაწყვეტილება მიღებულია, თქვა მან. ნოდარ ხადურის სიტყვებით, პრეზიდენტის სხვა რეზიდენციებიც „აბსოლუტურად შესაძლებელია“ გადაეცეს ინვესტორებს.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

საჰაერო-საგზაო ავარიის ვიდეო: ტახასში დასაჯდომად მიმავალი თვითმფრინავი ჯიპს შეეჯახა

შეჯახების შემდეგ თვითმფრინავს მოსწყდა კუდი და იგი დაეცა, ავტომობილს კი სახურავი ჩაუჭყლიტა. გზის მონაკვეთი, სადაც ინციდენტი მოხდა, ფაქტობრივად დასაჯდომი ზოლის საწყისია და ამ ადგილას, რომელიც თავისი საშიშროების მიხედვით არ ჩამორჩება სარკინიგზო გადასასვლელებს, თვითმფრინავთან შეჯახების შესაძლებლობის შესახებ ავტომობილისტებს აფრთხილებს მკრთალი წარწერა ასფალტზე.

* * *

მორწმუნე ამერიკელი უჩივის ეკლესიას ჯვარცმის ძანდაკების გამო, რამაც გადაარჩინა მისი ცოლი, მაგრამ მას თავად ფეხი დააკარგვინა

დევიდ ჰიმენესი საათობით ლოცულობდა ჯვარცმის წინაშე, თხოვდა უფალს განეკურნა მისი მეუღლე კიბოსგან. როდესაც ცოლი სასწაულებრივ გადარჩა, მამაკაცმა სთხოვა მოძღვარს მიეცა მისთვის ნება გაესუფთავებინა ქანდაკება მადლობის ნიშნად. სანამ იგი ქანდაკებას ასუფთავებდა, ქვის იესო მას დაეცა, დაუჟეჟა ფეხი. ამჟამად მლოცველი მოითხოვს რამდენიმე მილიონ დოლარს.

* * *

ყველაზე მუხელთებელი ვეშაპები მსოფლიოში პირველად ეჩვენენ მეცნიერებს, როდესაც გამოირიყნენ ნაპირზე ახალ ზელანდიაში

მანამდე კბილხერხა ვეშაპების შესახებ ნისკარტდინგთა ოჯახიდან მეცნიერებმა ცოტა რამ თუ იცოდნენ: ბოლო 140 წლის განმავლობაში ყველა ცოდნა ამ ცხოველების შესახებ მიღებული იყო მხოლოდ ასეთი ვეშაპის ჩონჩხის სამი ფრაგმენტის შესწავლის შედეგად. როდესაც მეცნიერებმა აღმოაჩინეს ორი ვეშაპის სხეული, მათ ისინი შეცდომით სხვა სახეობას მიაკუთვნეს. მაგრამ ცხოველთა დნმ-მ სენსაცია შემოგვთავაზა.

* * *

რუსეთი დაბრკოლებას ქმნის აშშ-ის გზაზე შუა აზიისკენ: მეზობლების არმიებს 1,5 მილიარდ დოლარს მოახმარს

დაუთმობელი უზბეკეთის პიკის ხანაში, რომელმაც გააღატაკა ავღანეთის შეიარაღებაზე ნატოს ბაზაც, რუსეთის ფედერაციამ გადაწყვიტა, დაეხმაროს ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს სხვადასხვა სამხედრო ტექნიკით, შეიარაღებითა და სამხედრო კადრების მომზადებით. გადაკვრით მიანიშნეს ეკონომიკურ საჩუქრებზეც. ექსპერტები ეჭვობენ: რუსეთი „მიდის ვა-ბანკზე“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

იქნებ ყურადღებიც იყოს...

სუბიექტური ხასიათის რამდენიმე მოსაზრება ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ზოგიერთ საკითხზე

1 ოქტომბერი

ეს მოთმინებიდან გამოსული ქართველი ხალხის შეტევაა და სრულებითაც არ შეესაბამება ამერიკის ხელისუფლების სურვილებს, მაგრამ, ფაქტი სახეზეა და მათ მოუხდათ ამ ფაქტზე რეაგირების სასწრაფოდ მორგება, რაც შემდეგში გამოიხატა: დაშვებული იქნა ორხელისუფლებიანობის რაღაც მსგავსი რამ. სააკაშვილის გუნდი უზრუნველყოფილ იქნა უხილავი დაცვით, ხოლო ბატონი ბიძინა კი მოექცა პროამერიკული პოლიტიკის აშკარა გავლენის ქვეშ (იძულებით თუ ხართ, ყოველ შემთხვევაში საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ). შედეგად რას ვღებულობთ? – ვერ ვახორციელებთ იმ ელემენტარულ რეაგირებასაც კი, რასაც, მართლწესრიგის პირობებში, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები იმსახურებენ. მათ უმალვე იყნოსეს სიტუაცია და, ყვარყვარესი არ იყოს, ხმა აიმაღლეს და ყელყელაობა დაიწყეს. ძველებურად გვმოძღვრავენ ტელეეკრანებიდან. ამ მოსაზრების სრული დადასტურება იყო ივანიშვილისა და სააკაშვილის შეხვედრაზე პრეზიდენტის წარმოთქმული სიტყვა. ახლა მთავარია მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში შეიჭრას „ოცნებელთა“ სიო. ყველამ გაისიგრძეგანოს და შეისისხლხორცოს მათი იდეები, როგორც სამშობლოს ხსნის ერთადერთი გზა. ეს სრულყოფილად ეხება ქართულ პოლიციასაც, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნორმალური სახელმწიოს შექმნა.

ბოდიშის მოხდით ამ ჩემს წერილში პატარა გადახვევას მივმართავ...

საბჭოთა პერიოდში საქართველოდან აღმასკომის თავმჯდომარეებს ჯგუფურად აგზავნიდნენ ბაქოში კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამთვიან კურსებზე. ამ ჯგუფს, როგორც წესი, მინისტრთა საბჭოს აპარატიდან ატანდნენ ერთ თანამშრომელს, როგორც ნაკადის მამასახლისს. იმ წელს ეს მისია მე მერგო. ვერ გეტყვით, ვინ როგორ აიმაღლა ბაქოში კვალიფიკაცია, დრო რომ კარგად გავატარეთ, ამაზე შემიძლია დავიფიცო. ჩვენი ჯგუფის პარალელურად „მუშაობდნენ“ სომხებისა და აზერბაიჯანელების ჯგუფები. ჩემს მამასახლისის საქმიანობას ხორცს ასხამდა და ამხიარულებდა საუკეთესო პიროვნება, ყოფილი კალათბურთელი გოგი შარაშენიძე (კროშკა). ჰოდა, ამ ჩვენმა გოგიმ „საქმე“ ისე ააწყო, რომ სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთს შეაჯიბრა ჩვენს პატივისცემაში. ჩვენც ისე „დავსუსტდით“, სახლში ძლივს გვიცნეს. აი, ეს გავიხსენე, რადგან, კროშკასი არ იყოს, ამერიკამ „გადააწყო“ პოლიტიკა ჩვენს მიმართ, ისარგებლა ჩვენი პრობლემებით და ისე ააწყო საქმე, რომ ყოფილი და ახალი ხელისუფლება თავდაუზოგავად იღვწიან იმათ საამებლად. ამასთან, ძველი ხელისუფლებისთვის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბერკეტის შენარჩუნებაც ამერიკელთა ზრუნვის შედეგია. ერთი სიტყვით, „ქართული ოცნება“, ცოტა არ იყოს, მუხრუჭებში აღმოჩნდა. ახლა „ოცნებაზეა“ – ამ მუხრუჭების მოდუნებას, დიდი მოხერხება და მოქნილი პოლიტიკა სჭირდება. ჩვენ ამისთვის გვაქვს „კოზირი“: ობიექტები და მაღალკვალიფიციური გამოძიების დაწყება წარსულის დანაშაულობებზე, ოღონდ აქ მაინც არ უნდა შეგვიშალოს ხელი თავისი ჩარევით „უფროსმა“. თუ „ჩარევა“ მაინც განხორციელდა, ეს დიდ გაუგებრობას გამოიწვევს, რადგან გამოძიებას, დამოუკიდებელ ქართულ სასამართლოს ელოდება ქართველი ხალხი, ქართული საზოგადოება და ამას წინ ვერაფერი ვერ დაუდგება. ეს ყველაფერი კარგად იცის ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ისიც ხომ სწორია, რომ პოლიტიკას ესაჭიროება არა აჩქარება, არამედ ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა.

2. ბრძოლა ცალ კარში

საბჭოთა პერიოდში პრესის მიმართებით ასეთი მტკიცე წესი მოქმედებდა: გაზეთში კრიტიკული ან დამადანაშაულებელი სტატიის მოთავსებისთვის საჭირო იყო წერილში გატარებული აზრის ობიექტურობაში რედაქციის დარწმუნება, რაც ცილისწამებისთვის პრესის გამოყენებას სავსებით გამორიცხავდა.

დღეს კი რა ხდება, მწვავე ბრალდებები ქვეყნდება მაღალი თანამდებობის პირებზე, პასუხის გამცემი კი არ ჩანს. ცალ კარში ბრძოლით ინფორმაციის ვაკუუმია შექმნილი.

უფრო კონკრეტული რომ ვიყოთ, ავიღოთ ბრალდებები ქალაქის მერ უგულავაზე. ამაზრზენია. კატეგორიულად მოვითხოვთ, მოხდეს ამ ბრალდებების სიყალბის დამტკიცება და ქალაქის მერის „განბანვა“, რა თქმა უნდა, პროვოკატორის ვინაობის დღის სინათლეზე გამოყვანით და სათანადო დასჯით. ან, თუ ეს ყველაფერი მართალია, თვით უგულავას პასუხისგებით. ევროპის ჩვენზე დიდ ქვეყნებში პირად ცხოვრებაში ამორალური ქცევის გამო უგულავაზე ბევრად პოპულარული პიროვნებათა „დაცურების“ მოწმენი ვართ.

3. პარლამენტის შენობის შესახებ

სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ როგორც ძველი, ისე ახალი პარლამენტარების უმეტესობის სურვილია თბილისში დაბრუნება. ქუთაისში გადასვლა მათ საყოფაცხოვრებო საკითხების აშკარა გაუარესებაა. ეს ღონისძიება ზრდის სახელმწიფო სახსრების ფუჭად ხარჯვას. გარდა ამისა, არ არის მიზანშეწონილი თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის, რაიმე ღონისძიებით შესუსტება.

პარლამენტის მონუმენტალური შენობა რუსთაველის პროსპექტზე, როგორც იდეურად, ისე არქიტექტურულად და ფუნქციების თვალსაზრისით, ორგანულად არის ჩაწერილი და თავის დანიშნულებას ბრწყინვალედ ასრულებს. მისი დარბაზი ისედაც ექვემდებარებოდა რეკონსტრუქციას, რაც პირველ რიგში ითვალისწინებს არქაული არქიტექტურული ფორმების ახლებურებით შეცვლას. ყველას დიდი იმედი გვაქვს, რომ „დაბრუნება“ განხორციელდება.

4. არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოორდინაცია

ქალაქში ბევრი რამ ძვირფასი და მნიშვნელოვანი აშენდა, თუმცა, მათ შორის არის ისეთებიც, რომლებიც დემონტაჟს ექვემდებარება. მაგრამ, შეიმჩნევა ერთი სენი: მშენებლობები ხორციელდება გენერალური გეგმის უგულებელყოფით, ყოველგვარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე, ხშირად მომავალში უფუნქციობის საშიშროებით.

დიდი ხანია ხელისუფლების წინაშე სხვადასხვა რანგის გულშემატკივრები აყენებენ საკითხს არქიტექტურასა და მშენებლობაში მაკოორდინებელი ორგანოს შექმნის შესახებ, მაგრამ ამაოდ. დღეს მშენებლობა საქართველოში, ფაქტობრივად უპატრონოა.

წინადადებას, რომლის წარმოდგენასაც ვაპირებ , მხურვალედ უჭერს მხარს არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირი, საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო ფონდები, მშენებელთა პროფკავშირები, ცნობილი ვეტერანი მშენებლები (მათ შორის, მშენებლობის ყოფილი მინისტრები და მოადგილეები: მ.ჩხენკელი, ნ.მეძმარიაშვილი, მ.ნიკოლაიშვილი, ო.მარგველაშვილი, ო.ბიბილეიშვილი).

ამჯერად სამინისტროს ან „სახმშენის“ შექმნაზე ლაპარაკს არ ვაპირებ, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში არქიტექტურისა და მშენებლობის მძლავრი დეპარტამენტის შექმნა კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია. სასურველია, მისი თავმჯდომარე მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე იყოს. მას ექნება სექტორები: საინჟინრო გეოლოგიის, გენგეგმის, მშენებლობის, საშენ მასალათა და კონსტრუქციების, ტექზედამხედველობის და, რა თქმა უნდა, არქიტექტურისა.

5. გავუადვილოთ მუშაობა ახალ ხელისუფლებას

წინა პერიოდში სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა საკითხზე განხორციელებულმა უსამართლობამ ძალზე ბევრი საპრეტენზიო და საჩივლელი საკითხები დაუტოვა როგორც მოსახლეობას (კერძო პირებს), ისე სამთავრობო, არასამთავრობო და კომერციულ ორგანიზაციებს, ბიზნესმენებს.

მთავრობის ახალი შემადგენლობის მიმართულებით უკვე წამოვიდა საჩივრების ტალღა.

ჩვენმა ხალხმა თავისი გაჭრიახობისა და სამართლიანი ბრძოლის შედეგად დიდ გამარჯვებას მიაღწია, სამშობლო გადარჩენის გზაზე დააყენა და ახლა, ამ კრიტიკულ პერიოდშიც გამოვიჩინოთ საქმისადმი ერთგულება: ნუ მოვახვევთ „ახლებს“ განუსაზღვრელი რაოდენობის საჩივარ-წინადადებებს, დავიცვათ რიგითობა, მოთმინება და დაველოდოთ საკითხთა მოწესრიგების ხელისუფლების მიერ მიღებულ რიტმს. ერთი სიტყვით, ცოტა კიდევ გავიჭირვოთ.

6. 1 ოქტომბერი ზუგდიდისთვის

რამდენიმე ქალაქში არჩევნები დიდი გაყალბებით ჩატარდა. აქ ჩემპიონობს ზუგდიდი. ისმის კითხვა, იმ ქალაქების ჩამონათვალში, სადაც არჩევნები აშკარა გაყალბებით ჩატარდა და არჩევნები ხელმეორედ ჩატარდა, რატომ არ ჩატარდა ზუგდიდშიც? ეს ხარვეზი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს თუ გვინდა, რომ როლანდ ახალაია სხდომათა დარბაზში არ იყოს წამოსკუპებული.

7. პოლიტპატიმრები

ზემოთ გამოვთქვით აზრი, რომ ნუ მოვთხოვთ „ახლებს“ ყველა პრობლემის ერთბაშად განხილვა-გადაწყვეტას, მივცეთ საშუალება დაალაგოს საკითხები მნიშვნელობის მიხედვით და შეუდგეს ნორმალური ტემპით კვალიფიციურ რეაგირებას (რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი ქართული სასამართლოს ძალებით), მაგრამ მრავალგზის წამებული პოლიტიკური პატიმრების (რომელთა რიცხვი 167-ია) ნაადრევი, წინწასწრებით გათავისუფლების მექანიზმის შემუშავება „ახლების“ ვალია. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ამ მხრივ ჟორჟოლიანი, კვიციანი (ემზარი), იქნებ ვინმე გამომრჩა. შევსება თქვენთვის მომინდვია.

8. მათხოვართა შესახებ

ერთხელ მოწმე გავხდი იმისა, თუ უცხოელმა ტურისტმა როგორ გადაუღო სურათი რუსთაველის პროსპექტზე შუა ტროტუარზე ჭუჭყიან ნოხის ნაჭერზე მიგდებულ ბოშის ბავშვს. ეჭვი არ არის, ეს სურათი საკმაოდ პოპულარული გახდებოდა ამ ტურისტის სამშობლოში, შეიძლება გაზეთშიც დაიბეჭდა საქართველოს დედაქალაქისა და თვით ქართველი ხალხის „სასახელოდ“.

თბილისში მოქმედებს მათხოვართა ინდუსტრია, რომელიც თანდათან ძლიერდება, აქ გაჭირვებასთან ნაკლებად გვაქვს საქმე.

ამ საკითხს დროზე უნდა მოენახოს ჰუმანური გადაწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენადაც არ უნდა ალამაზო თბილისი, ეს დიდი ლაქა მის სამარიცხვინოდ დარჩება.

9. სტალინის ძეგლის შესახებ

სტალინის ძეგლი უნდა აღსდგეს გორში. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს საკითხის შეთანხმება გორის მცხოვრებლებთან.

10. სახეები ტელევიზიაში

მასმედიაში (განსაკუთრებით ტელევიზიაში) აშკარად შეიმჩნევა ბოლო დროს პრეტენზიული გამოსვლები ახალი ხელისუფლების მიმართ. ჩემი აზრით, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, თავი უნდა შევიკავოთ პრეტენზიებისგან, მით უმეტეს, მათი ჩვენებით ტელევიზიაში. თუ ამას ვინმე სპეციალურად აკეთებს „ახლების“ მიმართ პროტესტის გამოსახატავად, ეს აშკარა მზაკვრობაა. ახალ ხელისუფლებას აქვს მოქმედების, როგორც გლობალური, ისე მიკრო გეგმები და თუ ვაცლით, ამით სიკეთეს მოვუტანთ საერთო საქმეს.

11. ზოგი მოერიდოს ბელევიზორში პოზირებას

მაქსიმალურად შევიკავოთ თავი ხალხის გაღიზიანებისგან. სულაც არ არის ხუმრობა როგორი სტრესი, წამება, ტანჯვა გადაიტანა ჩვენმა მოსახლეობამ და ახლა, როდესაც მიიჩნევს, რომ სამშვიდობოს გავიდა, კვლავ ამ მწამებელთა სახეები ჩანან ტელევიზორში. კონკრეტული მაგალითი გნებავთ? კი, ბატონო, 19 ოქტომბერს საღამოს გიორგი ბარამიძე საუბრობდა „ძველების“ მიერ ოპოზიციის შექმნასა და ამ ოპოზიციის მომავალ საქმიანობაზე. თურმე მათი მიზანი იქნება ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა (!), ხოლო თუ „ახლების“ ღონისძიებებში რამე ნაკლოვანება შენიშნეს, მის წინააღმდეგ მწვავე ბრძოლას ეპირებიან. თანაც ეს ტიპი ისე თავმომწონედ „ღვრიდა“ საპროგრამო იდეებს, თითქოს უდანაშაულო კრავი და ქართველი ტელემაყურებლის სიმპათია იყოს.

მათ ვურჩევდი, ნაკლებად დაენახონ ქართველ საზოგადოებას. ეს მათთვისვე ასე სჯობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თვითონვე „ჩაკლავენ“ პატიების შესაძლებლობას. ესეც არ იყოს, ერთი ვინმემ მიპასუხოს, როგორ იმოქმედებს ნებისმიერ სვანზე (აღარაფერს ვამბობ აფრასიძეების ოჯახის დარჩენილ წევრებზე ან მათ სოფლელებზე) ტელევიზორის ეკრანზე ბარამიძის სახის გამოჩენა, და მის მიერ მორალის კითხვა?

12. ვისაც გადმოსვლა უნდა

„ნაციონალთა“ შემადგენლობაში ბევრი პატიოსანი პიროვნება მეგულება. ისინი როგორც „თილისმით“, ისე შეცდომით აღმოჩნდნენ იქ. „ოცნებელთა“ ვალია, საღი თვალით შეხედონ ყოველივე ამას და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ პიროვნებათა მშვიდობიან, მკაცრად ნებაყოფლობით გადმოსვლას ამჟამინდელ მმართველ პარტიაში.

13. ბუე დასაცავია

გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას ითხოვს ქვეყნად ტყის დაცვის საკითხი.

14. დავიცვათ სიმწვანე

ქალაქებში, პარკებში, ბაღებში და მწვანე საფარიან სხვა ადგილებში მშენებლობების შეზღუდვის კანონი გადახედვას და აღდგენას მოითხოვს.

15. სანიტარიული მდგომარეობა გაუმჯობესებას მოითხოვს

უნდა დაისახოს და განხორციელდეს ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები. აქ ძირითადი მომენტები შემდეგნაირად გვესახება: ყოველი დაწესებულების, ორგანიზაციის, საცხოვრებელი სახლის შემოგარენის 100 კვ მეტრზე მეპატრონე იქნება პასუხისმგებელი, მკაცრი სანქცია განხორციელდეს ოჯახის ძაღლების მიერ ქალაქის ქუჩებისა და ეზოების გაჭუჭყიანებაზე, შემუშავდეს მაწანწალა ძაღლებისა და კატების საწინააღმდეგო რამე ჰუმანური მექანიზმი.

16. თბილისის იერსახის გაუმჯობესებისთვის

ქალაქის საცხოვრებელი ფონდის გაზრდის მხრივ სახლებზე მიშენება-დაშენების ნებართვის გაცემაში ადრე დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა თბილისს ძნელად გამოსასწორებელი დაღი დაასვა. აქ მდგომარეობის გამოსწორების გზა ასე გვესახება (თუ, რა თქმა უნდა, ქალაქის მერია ამ აზრს გაიზიარებს): მერიასთან შეიქმნას სახელმწიფო სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაცია „ფასადმშენი“, მასთან საპროექტო ჯგუფიც და დაევალოთ დაწყებული და „დაკონსერვებული“ დაშენება-მიშენების მოწესრიგება (დემონტაჟი ან გაგრძელება, მცხოვრებთა ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით).

17. წარწერები ქალაქში

მოსაწესრიგებელია აბრები და სხვადასხვა სახის წარწერები მაღაზიებსა და საწარმო-დაწესებულებებზე. აქ, როგორც წესი, ქართული ვარიანტი უნდა პირველობდეს. ზოგი ასაკრძალია. მაგალითად ასეთი: „თონის პური შეშაზე“, „ხაჭაპური იმერული ყველით“...

18. უძრავი ეროვნული ქონების შესახებ

ნუ დაგვავიწყდება, რომ ძალზე ბევრი ჩვენი მოქალაქე (ძირითადად ახალგაზრდობა), საზღვარგარეთ არის გასული. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია, შემუშავდეს რაიმე სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ქართული მიწებისა და ინდივიდუალური საცხოვრებლების უცხოელებზე მიყიდვა.

ჩვენ, ალბათ, ისედაც შეგვექმნება სამოსახლო მიწის დეფიციტი.

19. საზოგადოებრივი ტუალეტების შესახებ

ნებისმიერი სადარბაზო რუსთაველის პროსპექტზე (ეჭვი არ არის სხვაგანაც) ტუალეტებად გამოიყენება. რა თქმა უნდა, ეს დიდი უზნეობაა, მაგრამ თუ ეს იძულებითი და ძალაუნებური საქციელია?! საქმე ის არის, რომ ვაკის პარკიდან დაწყებული, რუსთაველის მოედნის გავლით თავისუფლების მოედნამდე ტუალეტს ვერ შეხვდებით (არ არის და როგორ შეხვდებით!). თბილისში ისინი, საერთოდ, თითზე ჩამოსათვლელია და თუ სადმე არსებობს, სრულიად კეთილმოუწყობელია...

ამ საკითხებს, ჩემი აზრით, დაუყოვნებლივ სჭირდება მოწესრიგება.

რევაზ ტყემალაძე,
ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წყალთხილამურობა

გურალიას ახალი გაელვება

20 ძვეყნის 120 სპორტსმენი მონაწილეობდა ვეტერან წყალმოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელსაც მექსიკურმა ჩაპალამ უმასპინძლა. შეჯიბრებაში ძალებს ცდიდა ახლო წარსულში სახელოვანი წყალმოთხილამურე, ამჟამად სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი გენადი გურალია. ჩვენებურმა მრავალჭიდში (სლალომი, ფიგურები, ტრამპლინი) 2560,06 ქულა მოაგროვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მან მეორე ადგილზე გასულ ამერიკელ მიჰაელ მაკკორმაკს 200-ზე მეტი ქულით გაუსწრო. გურალიამ ტრამპლინიდან ხტომაში 865,23 ქულას მოუყარა თავი და ბრინჯაოს მცირე მედალი დაიმსახურა. ფიგურულ შეჯიბრებაში მან მე-4 ადგილი დაიკავა.

საგულისხმოა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გენადი გურალიას მრავალ შეჯიბრებაში უსახელებია თავი. 2008 წელს წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ იგი ევროპის საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცად აღიარა.

დიდ სპორტთან განშორების შემდეგ დიდხანს მუშაობდა მწვრთნელად უცხოეთში. ჯერ საბერძნეთის ნაკრებს ავარჯიშებდა, მერე იტალიაში ბრეშას ერთ-ერთი კლუბის წევრებს წვრთნიდა. ხშირად ვეტერანთა შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა. 2010 წელს 35 წელს გადაცილებულ სპორტსმენთა მსოფლიო ჩემპიონატზე 6 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიხვეჭა. და აი, გენადი გურალიას ახალი გაელვება, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

სამნი – თამაშგარეშე

საძართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ 14 ნოემბერს ეგვიპტესთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. შეხვედრა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება და 18 საათზე დაიწყება, ხოლო ბილეთი 5 ლარი ეღირება.

ქეცბაიას გუნდში ამ ჯერზე არ იქნებიან კაპიტანი ჯაბა კანკავა, ვეტერანი მცველი ზურაბ ხიზანიშვილი და ახალგაზრდა გარემარბი თორნიკე ოქრიაშვილი. „ჯვაროსანთა“ თავკაცმა არჩევანი შემდეგ მოთამაშეებზე შეაჩერა:

მეკარეები: გიორგი ლორია („დინამო“), ნუკრი რევიშვილი („კრასნოდარი“, რუსეთი), ომარ მიგინეიშვილი („ტორპედო“)

მცველები: უჩა ლობჟანიძე („კრივბასი“, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (უკლუბო), გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი („კრასნოდარი“, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე („ბაქი“, აზერბაიჯანი), გია გრიგალავა („ვოლგა“, რუსეთი), გულვერდ თომაშვილი, დავით კვირკველია (ორივე — „დილა“)

ნახევარმცველები: ლევან ყენია, მურთაზ დაუშვილი (ორივე — „კარპატი“, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე („არსენალი“, უკრაინა), დავით თარგამაძე („ილიჩოვეცი“, უკრაინა), ნიკა ძალამიძე („იაგელონია“, პოლონეთი), ჯანო ანანიძე („სპარტაკი“ მოსკოვი, რუსეთი), ალექსანდრე გურული („დილა“), დავით დევდარიანი („ორჰუსი“, დანია) შოთა გრიგალაშვილი („ალანია“, რუსეთი), ირაკლი მაისურაძე („მეტალურგი“)

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე („ემპოლი“, იტალია), მათე ვაწაძე („ორჰუსი“, დანია).

გიორგი ზოთაძე

◎ ახალი ფრონტი

ვისია „დინამო“, „დილა“, „ტორპედო“?

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქართული სპორტი ჩვეულ გზას დაადგა. ფეხბურთელებმა და კალათბურთელებმა ეროვნულ პირველობაზე რამდენიმე ტური მოილიეს, ჩვენმა ძიუდოისტებმა რიო-დე-ჟანეიროში გათამაშებულ მსოფლიო თასზე საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს, ჯანო ანანიძე მოსკოვის „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდა, საქართველოს 17-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრები კი ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში გავიდა.

რამდენიმე დღის წინათ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალი პირველი პირი ლევან ყიფიანი სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს შეხვდა. საუბრისას დაისვა საკითხი, რომ ფედერაციებში ახალი რიგგარეშე არჩევნები უნდა მოეწყოს.

საიდუმლო არ გახლავთ, რომ ქართულ სპორტს „ნაციონალური მოძრაობა“ მართავდა და ფედერაციების სათავეში ამ პარტიის მაღალჩინოსნები იმყოფებოდნენ. ამისი ნათელი დასტური თუნდაც პეტრე ცისკარიშვილის მაგალითია. ბედის ირონიას თუ დავარქმევთ, რომ პარლამენტში რამდენჯერმე ხელჩართულ ჩხუბში „გამორჩეული“ პეტრე კრივის ფედერაციას ხელმძღვანელობდა. როგორი უფროსი ბრძანდებოდა, ეს ლონდონის ოლიმპიურმა თამაშებმა დაამტკიცა, სადაც ერთადერთმა, კინკილა მოკრივემ აწონვა ვერ გაიარა და თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ დროს ბატონი დავით კვაჭაძე უმუშევარი ბრძანდებოდა და ქართულ კრივს დემონსტრაციულად არ აკარებდნენ.

ანალოგიური მდგომარეობა სპორტის არაერთ სახეობაში სუფევდა. დადგა დრო, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირველი არაპოლიტიზირებული არჩევნები ჩატარდეს და ფედერაციებს სათავეში პროფესიონალები ჩაუდგნენ.

ლევან ყიფიანზე მსურს საუბრის გაგრძელება. მისი აზრით, ბავშვთა სპორტული სექციები უფასო უნდა გახდეს.

„ჩვენი კონცეფციის თანახმად, სპორტი უნდა გახდეს ხელმისაწვდომი და მაქსიმალურად ბევრი უფასო ჯგუფი ჩამოყალიბდეს. ჩვენს მიერ შემუშავებული კონცეფცია კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მივაწოდეთ და მისი პროგრამის ძირითად პრიორიტეტებში აისახა. ეს საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკური პარტია სპორტის პრობლემატიკას ასე სერიოზულად მიუდგა და ეს იმის დადასტურებაა, რომ სპორტი საქართველოში პრიორიტეტული გახდება“ - განაცხადა ბატონმა ლევანმა.

გავრცელდა კულუარული ცნობა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებამდე დოტაციაზე მყოფ კლუბებს სახელმწიფო დაფინანსებას არ შეუწყვეტს. კლუბების გულშემატკივრებმა შვებით კი ამოისუნთქეს, მაგრამ გუნდებს საფრთხე სხვა მხრიდან დაემუქრათ.

პირველი საგანგაშო სიგნალი მერაბ ჟორდანიას თბილისში ჩამოსვლა გახლდათ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა თავკაცმა თბილისის „დინამოს“ დაბრუნებისთვის ბრძოლის დაწყება გადაწყვიტა. „დინამოს“ უახლესი ისტორიის შესახებ მასალა ჩვენი ვებ-გვერდის რუბრიკა „რეტრომედიაში“ წინა კვირას გამოქვეყნდა. ამ მიზეზის გამო ამ თემაზე დაწვრილებით არ შევჩერდები. იმ წერილიდან მხოლოდ ერთ ნაწყვეტს მოგიყვანთ.

„კლუბი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია (ანუ ფეხბურთის ფედერაცია) სახელმწიფოსგან დაწესებულ შეღავათს არასდროს უნდა დათანხმდნენ რადგან საბოლოო ჯამში ეს მათი „ყურებით დაჭერის“ საშუალებაა. ამაზე მიუთითებს 1995 წელს დაწესებული შეღავათებიც, რაც მერე „დინამოს“ მმართველთა წინააღმდეგ გამოიყენეს. ამით სახელმწიფო ფეხბურთს სატყუარას უგდებს. როგორც უინსტონ ჩერჩილი იტყოდა, უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია“.

თავის დროზე ქვეყნის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ „დინამოს“ გარკვეული საგადასახადო შეღავათები დაუწესა, გუნდს გადაეცა შოკოლადის ფაბრიკა „მზიურიც“. მონასტერი ამის შემდეგ აირია და სახელმწიფომ კლუბში არაერთი ფინანსური დარღვევა გამოავლინა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჟორდანიას გუნდის დაბრუნება ძალიან გაუჭირდება.

რამდენიმე დღის წინათ ქართულ მასმედიაში გორის „დილას“ ყოფილი მფლობელის გელა ჩხეიძის ინტერვიუ გავრცელდა. 2005 წელს ამ პიროვნებას კლუბი იძულებითი წესით ჩამოართვეს. ბატონი გელაც „დილას“ დაბრუნებას სასამართლოს მეშვეობით აპირებს. რადგან სიტყვამ ეს გუნდი მოიტანა, ცნობილი გახდა რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში მას „საქართველოს ბანკი“ პატრონობს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი უკვე ხელები დაიბანა.

ამ დღეებში ასპარეზზე ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი პრეზიდენტი გია ხურციძეც გამოჩნდა. მას „ტორპედო“ 2006 წელს ჩამოართვეს. ხურციძეზე ვერაფერს მოგახსენებთ. ძველი სპორტული პრესიდან მახსოვს, რომ იმერეთის მთავარ ქალაქში „მანათას“ ზედმეტსახელით იცნობდნენ და სათამაშო ბიზნესთან იყო დაკავშირებული.

უახლოეს მომავალში ქართულ ფეხბურთში ალბათ რამდენიმე ხმაურიანი სასამართლო პროცესის მომსწრენი გავხდებით. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გუნდების განვითარება-დაფინანსებაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს. იმედია, ამჟამინდელი მმართველი ძალა ქართული სპორტის განვითარებას მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდით მიუდგება და მომავალში ამჟამინდელი შემთხვევების მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდება.

ქართულ ფეხბურთზე ვსაუბრობთ და, არ არის გამორიცხული, ახალი არჩევნების მომსწრენი გავხდეთ. კულუარებში აქტიურად არა, მაგრამ მაინც მიდის საუბრები, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები გაიმართება. ამ ინფორმაციის უტყუარობაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს თემა აქტუალური გახდა.

ჯერჯერობით ცნობილია, რომ თუ რიგგარეშე არჩევნები გაიმართება, მასში ოთხი პიროვნება მიიღებს მონაწილეობას: მიხეილ ყაველაშვილი, დავით უგრელიძე, მამუკა კვარაცხელია და ლევან კობიაშვილი. ბატონ ზვიად სიჭინავას პრეზიდენტობის ვადა ოფიციალურად 2015 წელს ეწურება

საქართველოს ეროვნულ პირველობაზე ისევ გვხვდება კონფლიქტური სიტუაციები. 27 ოქტომბერს განმუხურის სტადიონზე „ზუგდიდმა“ რუსთავის „მეტალურგს“ უმასპინძლა. სტუმრები მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ. მათი მტკიცებით, არბიტრებზე უცნობი პირები აშკარა ზეგავლენას ანხორციელებდნენ და რუსთაველთა მარცხი (1:2) ამ ფაქტორმა განაპირობა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე „ზუგდიდი“ 5000 ლარით დააჯარიმა, ხოლო განმუხურის სტადიონს წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. წესით სიმართლემ იზეიმა, მაგრამ „მეტალურგს“ უსამართლოდ დაკარგული სამი ქულა უკან არ დაბრუნებია.

შემდეგ ტურში არბიტრებმა უკვე მასპინძელთა კლუბი დაჩაგრეს. „ბათუმმა“ საკუთარ კედლებში ბოლნისის „სიონთან“ წააგო. ამ შემთხვევაშიც მთავარი დამნაშავე შეხვედრის მსაჯი აღმოჩნდა, რომელმაც სტუმრების მიერ თამაშის წესების აშკარა დარღვევა არ დააფიქსირა. იმ შეტევის შემდეგ „სიონმა“ მატჩის ერთადერთი ბურთი გაიტანა.

ერთ კვირაში ორი საგანგაშო მდგომარეობა დაფიქსირდა. ცოტა ბევრი ხომ არ არის ჩვენი პირველობისთვის? სიჭინავას გადაყენებას ნამდვილად არ ვითხოვ, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ქვეყნის ჩემპიონატისთვის უფრო მეტი ყურადღება დაეთმო. მერე ამბობენ, ხალხი სტადიონებზე რატომ არ დადისო. პირველობა დაძაბულად კი მიმდინარეობს, მაგრამ გულშემატკივრები უცნაური ხალხია და მაინც „ჩაწყობაქულების დარიგებებზე“ საუბრობენ. ეროვნული ნაკრები ქვეყნის სახეა და მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამის მიუხედავად, უპირველესად წესრიგი ეროვნულ ჩემპიონატში უნდა დამყარდეს.

სანტიაგო გაუჩო
for.ge

◎ კალათბურთი

შეთამაშება რთული პროცესია

სიენას „მონტეპასკი“ რომ ის გუნდი აღარაა, რაც გასულ წლებში, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. იტალიის მრავალგზის ჩემპიონმა მიმდინარე სეზონისთვის ქართველი ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე შეიძინა და სხვა ახალწვეულიც ბევრი ჰყავს, თუმცა დანაკლისიც საკმაო ნახა და ჯერჯერობით სასურველ შედეგებს ვერ აჩვენებს.

სერია A-ს მე-6 ტურში სიენელები შინ „ემპორიო არმანი მილანოს“ დაუხვდნენ და 66:71 წააგეს. სანიკიძე სასტარტო ხუთეულში ამჯერადაც არ ყოფილა, მისთვის გამოყოფილ 22 წუთში კი ორმაგ დუბლამდე სულ ცოტა დააკლდა.

ვიქტორმა 5-დან 3 ორქულიანი და 2-დან ერთი სამქულიანი ჩააგდო, 9 ქულას ამდენივე მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 პასი და 1 დაფარება წაამატა. ქართველმა კალათბურთელმა ბურთი ორჯერ დაკარგა, ერთხელ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები ორჯერ დაირღვა.

შედეგად, „ვიკას“ შედეგიანობის კოეფიციენტმა 18-ს უწია და იგი მხოლოდ ამერიკელ ბობი ბრაუნს ჩამორჩა, რომელმაც „მონტეპასკის“ 26 ქულა შესძინა.

სიენელებს 4 მოგების წილ 2 მარცხი მოუგროვდათ და დამატებითი მაჩვენებლებით მე-5 ადგილზე გადაინაცვლეს. ასეთივე მონაგარი აქვს მანუჩარ მარკოიშვილის „მაპორო კანტუს“, რომელიც 11 ნოემბერს „ვანოლი კრემონას“ უმასპინძლებს, ერთი დღის თავზე კი სიენელები „ასეა რომას“ ესტუმრებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მეცნიერება

როცა ასეთი მხარდაჭერაა

ნახო ბაქო და არ აქო?..

რა კარგია, რომ ჩვენი სახელოვანი სწავლულები დიდხანს შინაური „შეუნდობლობის“ მიუხედავად (იმედი ვიქონიოთ, დროებითის), გარეთ ასე „მოთხოვნადი“ რჩებიან – როგორც ახლო საზღვარგარეთში, ისე შორეულში. აგერ ახლახანაც, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამმა წევრმა ერთობ მაღალი რანგის შეკრებაზე მიწვევით მოიარა დროთა მეფობის მიზეზით უცხოეთად ქცეული, მაგრამ კეთილ მეზობლად დარჩენილი აზერბაიჯანის დედაქალაქი.

ბაქოს საერთაშორისო ჰუმანიტარული ფორუმის მონაწილენი გახდნენ აკადემიკოსი როინ მეტრეველი, წევრ-კორესპონდენტები გურამ ლორთქიფანიძე და ლადო პაპავა. „ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები გლობალიზაციის პროცესებისადმი XXI საუკუნეში“ – ამგვარი იყო ოფიციალური ფორმულირება ფორუმის თემატურობისა; რაც შეეხება „ერთობ მაღალ რანგს“, ამ ქათიანურის „გასამართლებლად“ რამდენიმე ფაქტს მოვიყვანთ: ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში ედგა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი (მოწვევები იმისივე ხელმოწერით დაიგზავნა): მსოფლიოს 87 ქვეყნიდან ჩამოსულთა რიცხვი 450-ს აღემატებოდა; შეკრების გახსნის ოფიციალური ცერემონია ჰეიდარ ალიევის ცენტრში გაიმართა. აქ გამოვიდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილხამ ალიევი, იუნესკოს გენერალური კონფერენციის პრეზიდენტი კატალინ ბოჯია, იუნესკოს გენერალური დირექტორი აბდულაზიზ ალ-ტუვეიჯრი, ევროპარლამენტის დეპუტატი ქალბატონი რაშიდა დატი, თურქულენოვან სახელმწიფოებთან თანამშრომლობის საბჭოს გენერალური მდივანი ხალილ აკინჯი; რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიმართვა წაიკითხა საგანგებო წარმომადგენელმა მიხეილ შვიდკოიმ; დემონსტრირებული იყო იუნესკოს გენერალური დირექტორის ირინა ბოკოვას ვიდეომიმართვა, აგრეთვე ფილმი აზერბაიჯანზე.

ორ პლენარულ სხდომაზე, რომლებსაც რიგ-რიგობით უძღვებოდნენ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი მაჰმუდ გერიმოვი, მოისმინეს სახელმწიფოთა (ბალტიისპირეთის სამი, ბულგარეთი, რუმინეთი და სხვა) 10 ყოფილი მეთაურისა და 11 ნობელის პრემიის ლაურეატის (ეკონომისტების, ფიზიკოსების, ქიმიკოსების) გამოსვლები; აი, ასეთი შთამბეჭდავი „პარამეტრებია“!

– შემდგომ მრგვალ მაგიდებთან წარიმართა მუშაობა სხვადასხვა დარგის მიხედვით. თემატიკა მრავალფეროვანი გამოვიდა – ეკონომიკური პრობლემები დაწყებული, კულტურის, ეკოლოგიის, გლობალიზაციის, მეცნიერების საკითხების განხილვა, მსოფლიოს მონაწილეობა გლობალიზაციაში... ჩვენ, სამი ქართველი დელეგატი, სხვადასხვა სექციაში გამოვედით; ცალკე იყო ეკონომიკაში ვლადიმერ პაპავა, ცალკე კულტუროლოგიაში – გურამ ლორთქიფანიძე. ჩემმა ქართველმა კოლეგებმა ფრიად შინაარსიანი მოხსენებები წაიკითხეს და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს.

მესამე სექციას, რომლის თანათავმჯდომარეც გახლდით მოსკოველ აკადემიკოსთან ალექსეი მასლოვთან ერთად, ერქვა „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები და პერსპექტივები“, აქ წაკითხულ ჩემს მოხსენებას, რომელიც ორგანიზატორთა დაკვეთით მოვამზადე – „გლობალიზაციის პერსპექტივები და კავკასიის რეგიონი“. აქვე შევნიშნავ, რომ საერთოდ, ფორუმზე ხაზი გაესვა შემდეგ გარემოებას: გლობალიზაციის პერიოდში სიფრთხილეა საჭირო, მან არ უნა დათრგუნოს, არ უნდა „ჩაყლაპოს“ ცალკეული ერის, ცალკეული ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა, თვითმყოფადობა, არ უნდა დაჩრდილოს ის საუკეთესო, რაც ერებსა თუ ქვეყნებს შეაქვთ მსოფლიო კულტურაში...

ფორუმში ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული, ყველა ხარჯი, ყოველგვარი დაფინანსება აზერბაიჯანის მხარემ, ხელისუფლებამ იკისრა. ათასგვარი შეხვედრა-მიღება მთავრობაში, უნივერსიტეტში, აკადემიაში, ექსკურსიები. ამ ღონისძიებაზე... მთავარ მზრუნველად თვით პრეზიდენტი ილხამ ალიევი წარმოჩნდა. ისიც გამოჩნდა, თუ როგორი მხარდაჭერა აქვს აზერბაიჯანულ მეცნიერებას სახელმწიფოსაგან, რაც იმათ ბიუჯეტშიც აისახება (ჩვენთან მეცნიერებაზე გამოყოფილი საცოდავი 0,2 პროცენტის საპირისპიროდ იქ ეს პროცენტი საკმაოდ დიდია)... როგორ აფასებენ აზერბაიჯანელები ეროვნულობას, ამნაირი დეტალითაც დასტურდება: ყველა ადგილობრივი მომხსენებელი მხოლოდ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა, თუმცა სინქრონული თარგმანი შესანიშნავად იყო მოწყობილი.

ჩინებულად გვიმასპინძლა ჩემმა ძველმა ნაცნობმა, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა აბელ მამედალი ოღლი მაგერამოვმა. მისგან, სხვათა შორის, საგულისხმო ფაქტი შევიტყვე: ქვეყნის მეთაურს უნივერსიტეტისათვის 5 ავტობუსი „მერსედესი“ უჩუქნია...

ყველა შეხვედრისას მასპინძლები გამოხატავდნენ უდიდეს პატივისცემას ჩვენი აკადემიისადმი, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას პირადად პრეზიდენტისადმი – აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისადმი; სხვა მეცნიერთა მიმართაც, მათ შორის ქიმიკოსთა, ფიზიკოსთა, მათემატიკოსთა – ეს დამოკიდებულება კონკრეტულად იყო გამოხატული, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. აქვე დავძენ, რომ გულისტკივილიც არაერთხელ გამოთქვეს იმის გამო, რომ ჩვენი აკადემიიდან მოიკვეთა სამეცნიერო დაწესებულებები თუ კვლევითი ინსტიტუტები...

ეს ყველაფერი მიამბო ბატონმა როინმა, რომელიც ბევრი შეკითხვით შევაწუხე, მერე ჩემი შეკითხვები „ჩავტოვე“ და მკითხველს პატივცემული რესპონდენტის პასუხებს ერთიანად „შეჯამებულად“ ვაწვდი კიდევ ერთ „შესაკრებთან“ ერთად: აზერბაიჯანში ცხოვრების დონე მაღალია და სამმილიონიანი ბაქო ულამაზესი ქალაქია...

ვფიქრობ, აქვე შესაფერისი იქნება ბატონი თამაზ გამყრელიძის ერთი გამოსვლის მოყვანა:

აზერბაიჯანში და არც ერთ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში არ მომხდარა მეცნიერების ნგრევა... აზერბაიჯანის, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიებში, სხვაგანაც კვლევითი ინსტიტუტები დარჩა, საერთოდ, ყველა რესპუბლიკამ შეინარჩუნა აკადემია იმ დონეზე, რაზეც იყო. მე ყოველთვის ვამბობდი და ვამბობ, რომ ქართული მეცნიერება მუდამ იდგა მსოფლიო დონეზე, ხოლო ზოგიერთ დარგში თვით განსაზღვრავდა ამ დონეს. აი, ეს იყო ქართული მეცნიერება და მართლაც რომ სამწუხაროდ, ახლა ასე აღარ არის. ეს ჩვენი ბრალი როდია – ბრალია იმისა, რომ დაინგრა ქართული მეცნიერება, არადა, მეცნიერების განვითარების გარეშე არ არსებობს ქვეყნის განვითარება. ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე მეტყველებს ამჟამინდელი ყველა საერთაშორისო კონფერენცია, რასაც კი საერთაშორისოვე ორგანიზაციები იწვევენ.

მსოფლიოში სახელგანსმენილი მეცნიერის ეს სიტყვები და გულისტკივილი შეისმინონ პირველ რიგში იმათ, ვინც ჯერ არს...

თამაზ ეგანოიძე

განცხადება

2013 წლის 5 იანვარს, დღის 12 საათზე შპს „L.M.Y.“-ს ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, ვახტანგ ნინუას ქუჩა №3) გაიმართება პლასტმასის ბოთლების გადასამუშავებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ნარჩენების გადამუშავებით მიიღოს პროდუქცია ხელახალი წარმოებისთვის.

საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

● საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი), ქ. თბილისი, გულუას ქ. 6.

● საწარმოს ადმინისტრაციული შენობა, თბილისი, ვახტანგ ნინუას ქუჩა №3.

● ქ. თბილისი, აბო-თბილელის ქ. №12.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

ქ. თბილისი, ვახტანგ ნინუას ქუჩა №3.

საკონტაქტო პირები: ვაჟა ბარბაქაძე, ტელ: 599 99 70 87; 269 01 69.

გენადი უბირია, ტელ: 579 02 01 10; 298 31 86.

მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2012 წლის 31 დეკემბრის დღის 12 საათამდე.

შპს „L.M.Y.“-ს დირექტორი
ვ. ბარბაქაძე

გახსენება

ნინო ჯავახიშვილი

– დიდი მეცნიერი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქ. ქალთა საბჭოს დამაარსებელი და უცვლელი ლიდერი – საპატიო თავმჯდომარე. არისტოკრატიზმით, ღვთისაგან ბოძებული ნიჭით, შრომის უნარით, ადამიანებთან საოცარი ურთიერთობებით გამორჩეული ქალბატონი.

მთავრობის უმაღლესი ჯილდოების მფლობელი, ღირსების ორდენოსანი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ 2002 წლის ქალად აღიარებული.

ასეთი ცხოვრებით ცხოვრობდა დიდი ქალბატონი ნინო – თავისი გონიერი ქმედებით ყოველთვის აღემატებოდა დროსა და სიტუაციას.

დღეს ქალბატონი ნინო ჩვენს გვერდით აღარ არის. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

საქართველოს ქალთა საბჭო

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის თანამშრომლები ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძე, ირინა ბადრიძე, სოლომონ ხოდელი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, ქვეყნისა და მეგობრების ერთგული ადამიანი, უჩვეულო სითბოსა და სიკეთის მატარებელი პიროვნება

დევი ბერძენიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ნათელა, შოთა გამყრელიძეები იუწყებიან

დევი ბერძენიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი, პროფესორი

თეო ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ღვაწლმოსილ თანამშრომელს მზია გველესიანს გარდაეცვალა და

დალი გველესიანი

და სიძე (ქალიშვილის მეუღლე)

კოტე თავაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გიორგი, მევლუდ დუნდუები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

ავთანდილ რაჟდენის ძე ცომაიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, ელენე მანჯგალაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სანაქებო მამულიშვილი, უსაყვარლესი ადამიანი, საქართველოს ჭადრაკის სკოლის დიდი მოამაგე

კახა ჩიგოგიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

ქუთაისის ციხეში პატიმარი გარდაიცვალა

ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი გარდაიცვალა.

აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ავრცელებს.

ოფიციალური ინფორმაციით, 57 წლის მსჯავრდებული ა.ბ, რომელიც ქუთაისის №2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იყო მთავსებული, გუშინ დაიღუპა.

„2012 წლის 6 ნოემბერს 05:25 საათზე მსჯავრდებულმა თავი იგრძნო ცუდად, გამოძახებული იქნა ექიმი, დაფიქსირდა არტერიული წნევა 240/120, ჰიპერტონიული კრიზი, სტენოკარდია. მას ჩაუტარდა შესაბამისი მკურნალობა და პარალელურად გამოძახებული იქნა სასწრაფო დახმარება, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მსჯავრდებულის გადარჩენა ვერ მოხერხდა. აღნიშნული ფაქტის შესახებ უკვე ინფორმირებული არიან გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრები“, – ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაიჯესტი

ლეონარდოს ბოლო ნახატი?

მრავალი წლის მანძილზე მარია მაგდალინელისა და ორი ძის გამოსახულებიანი ფერწერული ნახატი შოტლანდიელი ექიმების მაკლარენების მორიდებული ფერმის სახლის ერთ-ერთ კედელზე ეკიდა. ახლა კი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ ტილოს ავტორია... გენიალური ლეონარდო და ვინჩი. თუ მისი ავტორობა დადასტურდება, ნახატი სულ მცირე 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი ეღირება!

ნახატი მაკლარენების ოჯახის საკუთრება გასული საუკუნის 60-იან წლებში გახდა — ერთ-ერთმა პაციენტმა იგი წარმატებული მკურნალობისთვის მადლობის ნიშნად უსახსოვრა. ახლახან კი ფიონა მაკლარენს ფული დასჭირდა და მან ტილოს გაყიდვა გადაწყვიტა.

— სურათში რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგის აღებას ვფიქრობდი, — თვალაცრემლებული ეუბნებოდა ჟურნალისტებს გაოგნებული ფიონა. — სურათის ავტორის ვინაობა ჩემთვის, რა თქმა, უნდა უცნობი იყო! როცა რამდენიმე წლის წინათ სახლში რემონტი გავაკეთეთ, სამშენებლო მტვრისგან ნახატის დაფარვა არავის უფიქრია!

აუქციონების ცნობილი სახლის „სოთბის“ სპეციალისტების აზრით, „მარიამ მაგდალინელი ორ ძესთან ერთად“ ლეონარდო და ვინჩიმ საფრანგეთში, ცხოვრების მიწურულს დახატა. გამორიცხული არ არის, რომ ეს ლეონადროს სულაც ბოლო მხატვრული ტილო იყოს...

კრიზისის შემოსავალი

ბოლო წლის განმავლობაში მსოფლიოში მილიარდერთა რიცხვი თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა და 2160 კაცი შეადგინა, ხოლო მათმა ქონებამ 14 პროცენტით „იბარტყა“ და 6,2 ტრილიონ დოლარს მიაღწია.

ორგანიზაციის welth-x-ის ცნობით, ყველაზე მეტი მილიარდერი — 480 კაცი — ამერიკის შეერთებულ შტატებშია.

— თავიანთი ისედაც უზარმაზარი ქონების გაზრდა მილიარდერებმა საფინანსო ბაზრებზე შეძლეს, — აცხადებენ ეკონომიკურ კვლევათა ექსპერტები. — ამას სხვა ახსნა არც შეიძლება ჰქონდეს, რადგან ამ ხნის მანძილზე არც წარმოების, არც მოხმარების ზრდა, რომლითაც ამ ზრდის ახსნა იქნებოდა შესაძლებელი, არ ყოფილა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროპაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ამჟამად მილიარდერთა მხარდაჭერის პოლიტიკა ტარდება. ეკონომიკის სტიმულირების მოტივით სახელმწიფოები უზარმაზარ თანხებს აბანდებს ფინანსურ კორპორაციებში, იქიდან სახსრების სოლიდური ნაწილი კი ამ კორპორაციების მფლობელთა ანგარიშებზე ილექება.

ჯანმრთელობის ბილიკები

დანიაში პირველი ველომაგისტრალი გაიყვანეს, რომელმაც დედაქალაქი და 22 კილომეტრის მოშორებით მდებარე ქალაქი-თანამგზავრი ერთმანეთს დააკავშირა.

ველოგზატკეცილი კოპენჰაგენი-ალბერტსლუნდი პირველია იმ 26 მსგავსი „ჰაივეიდან“, რომელთა მთლიანი სიგრძე 300 კილომეტრზე მეტი იქნება. ამით დედაქალაქისა და გარეუბნის საველოსიპედო ბილიკების სიგრძე 30 პროცენტით მოიმატებს, რაც დამატებით 15 ათასი ველოსიპედის გამტარუნარიანობას გულისხმობს.

კოპენჰაგენის მერიის გათვლებით, აღნიშნული ღონისძიება სახელმწიფო ბიუჯეტს ჯანდაცვის მუხლით წელიწადში 300 მილიონი კრონის დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს, ჰაერში კი ამავე დროს ნახშირორჟანგის გამოფრქვევა შვიდი ათასი ტონით შემცირდება!

სიმსივნის საფრთხე

მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ქალებისთვის 40 წლის ასაკის შემდეგ მშობიარობა საშვილოსნოს კიბოს განვითარების საფრთხეს 44 პროცენტით ამცირებს.

მასშტაბური გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ 30 წლის ასაკის შემდეგ დაავადების საფრთხე ყოველ ხუთ წელიწადში 13 პროცენტით მცირდება, დიდ ბრიტანეთში კი საშვილოსნოს სიმსივნის დიაგნოზს წელიწადში 6400 ქალს უსვამენ, აღსანიშნავია, რომ რუსეთში ეს მაჩვენებელი ყოველ 100 ათას ქალზე 13 შემთხვევას შეადგენს.

დილის სიმხნევე

დილაობით ბევრს ადგომა ძალიან უჭირს. როგორ შეიძლება ამ დროს საკუთარი თავის დახმარება?

- როგორც გაიღვიძებთ, ლოგინში მაგრად გაიზმორეთ, ამ დროს ხერხემალი აზნიქ-ჩაზნიქეთ;
- ლოგინიდან წამოდგომის შემდეგ ცხელი შხაპი მიიღეთ, მერე რამდენიმე წამით მაინც ცივზე გადართეთ. ძლიერი ჭავლი კისერსა და მხრებზე მიუშვით, შემდეგ კვლავ ცხელი წყალი გადაივლეთ, რის შემდეგ კვლავ ცივზე გადართეთ. მთელი პროცედურა 4-5 წუთის მანძილზე რამდენჯერმე გაიმეორეთ.
- კარგი იქნება, თუ რამდენიმე ვარჯიშსაც გაკეთებთ: რამდენჯერმე მაქსიმალურად მოღუნეთ კისერი, თავი ატრიალეთ, ტანის ზედა და ქვედა ნაწილები წრიულად ამოძრავეთ, მოძრაობა კი ტანის ზედა ნაწილით დაიწყოთ და ქვემოთ „ჩამოხვიდეთ“.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვახელებთან

„ივანიშვილი თუ თავისი ჯიბიდან დაიწყებს პენსიების დარიგებას, შეცდომა იქნება“

მიაჩნია პროფესორ ლადო პაპავას, იგი სააკაშვილის მხრიდან რევანშის მცდელობას არ გამორიცხავს. ექსპერტი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი რევანშისთვის ნაბიჯებს უკვე დღეს დგამს.

— დღეს არის მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც შეიძლება ბიუჯეტი არ ეყოს. ივანიშვილი თუ თავისი ჯიბიდან დაიწყებს პენსიების დარიგებას და მე მგონია, რომ ამას არ იზამს, ეს იქნება შეცდომა, იმიტომ, რომ მისი ფული არაფერს ეყოფა.

„ახალი თაობა“

2013 წელს პენსია 150 ლარის ფარგლებში იქნება

ახალმა მთავრობამ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 8,730 მილიარდ ლარამდე გაზარდა. საზოგადოების ყველაზე დიდი ინტერესი პენსიის ზრდისკენაა მიმართული. ჩვენი ინფორმაციით, გაისად პენსია 150 ლარის ფარგლებში იქნება.

„რეზონანსი“

ბაჩო ახალაიას დაიჭერენ?!

ბაჩო ახალაია საქართველოში დაბრუნდა. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება დიდი გამოცდის წინაშე დგას. აი, რას ამბობს საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი: — ამ კაცის წინააღმდეგ, ჯერჯერობით, არანაირი სამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის და თუ გვექნება შესაბამისი მტკიცებულებები და ფაქტები, ჩვენ ბაჩო ახალაიას მიმართ სამართალწარმოებას დავიწყებთ... პრესით, ტელევიზიით გაკეთებული განცხადებები არ არის იმის საფუძველი, რომ დავიწყოთ გამოძიება, ხოლო გამოძიების დაწყების შემდეგ საჭიროა, მოვიპოვოთ კონკრეტული ინდივიდუალური მტკიცებულებები.

„ალია“

იყიდება ბინა სასწრაფოდ!

ძალაძის ცენტრში, ოპერის უკან, თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. **დარეკეთ საღამოს — 247-57-79.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

მიხოს სიდედრი ესტუმრა. ნასადილევს დედა-შვილი სამზარეულოში დარჩნენ საჭორაოდ, დაბოღმილი მიხო კი ტელევიზორს უყურებს.

— მამი, მე როგორ გავჩნდი? — ეკითხება მას პატარა შვილი.

— წერომ მოგიყვანა, შვილო.

— შენ როგორ გაჩნდი?

— მეც წერომ მომიყვანა.

— დედაც?

— ჰო, დედაც.

— ბებიაც?

— ოო, არა, შვილო, ბებია-შენი ეშმაკმა მოიყვანა...

განუსაზღვრელი ასაკის ქალად მხოლოდ განსაზღვრულ ასაკამდე შეიძლება დარჩე.

* * *

სხედან მოხუცი ქალები ძელკამზე. ბაასობენ, ათას რამეს ყვებიან და იხსენებენ.

„— გახსოვს, — ამბობს ერთი, — როგორი ახალგაზრდები და ლამაზები ვიყავით, განსაკუთრებით მე, და ახლა რა მოხუცები და უშნოები ვართ, განსაკუთრებით — შენ“?

* * *

სიყვარული მეგობრობისგან იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელს ვარგისიანობის ბოლო ვადა არა აქვს.

* * *

სინდისი ბევრს ბრმა ნაწლავივით აქვს ამოჭრილი.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com